# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 23 ოქტომბერი, 2010 წელი.

№198 (6564)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# პუტინი ციმბირში ცურავს, სააკაშვილი - ბათუმში...



## სად მეტი გრადუსია ტენიანობა? ⑧



## მკვდარი ხელისუფლება და ② მოსყიდული ინტელიგენცია

## ვინ გაიტანა ლილოში ლელო? ②



### მამულიშვილნი

## ფასდაუდებელი ღვაწლი

⑤



გიორგი ციციშვილი

## „პედიატრიული შემოდგომა“ თბილისში

④



ყარამან ფაღავა



## ქართული ③ აზერბაიჯანი

## რატომ დამძიმდება პედაგოგების მდგომარეობა გაისად? ③

პრეზიდენტსა და მთავრობას მილიონები, საზოგადოებას კი...

### კვირაძალს საკითხავი

**ლერი ალიმონაკი**

## ფამფთრა

დოკუმენტური ნოველა ⑦

**ვახტანგ ახვლედიანი**

## ძახილი

⑥ პუბლიცისტური პოემა

სპეციალური რეპორტაჟი

# ვინ გაიტანა ლილოში ლელო?..

**ლილოს ბაზრობის შესასვლელთან ფიზიკური შეხლა-შემოხლა ხუთშაბათს, დაახლოებით, 13 საათისთვის დაიწყო და თითქმის ნახევარი საათი გრძელდებოდა.**

**ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთ ლიდერს, გუბაზ სანიკიძეს, ჟურნალისტებს. ნაცემია ტელეკომპანია „კავკასიის“ თანამშრომელი; დაიმტვრა ტელეკომპანია „შემ“ -ს კამერა; დააკავეს „ფორუმის“ წევრი ზაზა ჩაკვეტაძე.**




ფიზიკური შეხლა-შემოხლა მას შემდეგ დასრულდა, რაც ინციდენტში პოლიციელები ჩაერივნენ.

საპატრულო პოლიცია, რომელიც ადგილზე მობილიზებული იყო, მაშინ გააქტიურდა, როდესაც ჩაკვეტაძე წაქცეული ჰყავდათ და ათამდე პირი მას ფეხებს ურტყამდა. ისინი ამბობდნენ, ლილოს ბაზრობის დაცვის თანამშრომლები ვართო. თუმცა, ხმებიც გავრცელდა, რომ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პოლიციელები იყვნენ...

მოგვიანებით ითქვა, რომ ჩაკვეტაძე პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. კახა შარტავამ განცხადება გააკეთა ლილოს პოლიციის განყოფილებაში წასვლასთან დაკავშირებით, „ფორუმი“ და მოვაჭრეების ნაწილი ლილოს პოლიციისკენ წავიდნენ.

* * *

**ბაზრობის შესასვლელთან ინციდენტი ასე დაიწყო — „ფორუმის“ წარმომადგენლებმა და მოვაჭრეებმა სცადეს, ბაზრობაზე დალუქული მაღაზიების სანახვად ჟურნალისტებთან ერთად შესულიყვნენ. ბაზრობის დაცვის თანამშრომლებმა მათ წინააღმდეგობა გაუწიეს, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.**

ბაზრობის შესასვლელთან მოვაჭრეები დილიდან იყვნენ შეკრებილი, მაღაზიები დაკეტილი ჰქონდათ და აცხადებდნენ, რომ გაფიცულები არიან. გაფიცვის მიზეზად მათი კოლეგების მაღაზიების დალუქვას ასახელებდნენ.

მათი ინფორმაციით, ხუთშაბათს, დაახლოებით, 07:00 საათზე შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ლილოს ბაზრობაზე რამდენიმე მაღაზია დალუქეს. მაღაზიების დალუქვის მიზეზი მეპატრონეების მიერ კლიენტებისთვის ე.წ. ზედნადების გაუცემლობა გახდა. მოვაჭრეები ამბობენ — ხვალ შეიძლება ჩვენც აღმოვჩნდეთ მსგავს მდგომარეობაშიო. მათთვის მიუღებელია ის სქემა, რაც საგადასახადომ დააწესა; რომ საგადასახადო სამსახური თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობას არ იძლევა.

„შევწუხდით საგადასახადოს თანამშრომლებისგან, რომლებიც ყოველდღიურად კონტროლს ახორციელებენ და გვაჯარიმებენ. მაღაზიები ყოველდღე ილუქება, შეიძლება თვეები იყოს დალუქული. ვერ გავარკვიეთ სქემა, რითაც ათასობით ჯარიმებს გვარიცხავენ. ბევრ დოკუმენტს ითხოვენ, რაში გარკვევაც რთულია. ვითხოვთ, თუნდაც ფიქსირებული გადასახადების დაწესებას“, — ამბობენ ისინი.

მოვაჭრეების მონათხრობიდან ირკვევა, რომ 07:00 საათზე, თეთრეულის მაღაზიაში საგადასახადოს თანამშრომელმა საკონტროლო შესყიდვა განახორციელა. 350 ლარის საქონელი იყიდა. მოვაჭრემ, რომელიც აზერბაიჯანული ეროვნების მამაკაცია, ქვითარი გამოწერა, ზედნადები კი — არა, რაც მაღაზიის დალუქვის მიზეზი გახდა.

დალუქული მაღაზიის გვერდით მდებარე მაღაზიის გამყიდველის განცხადებით, საგადასახადოს შეეძლო, 1000 ლარით დაეჯარიმებინა ზედნადების გამო, თუმცა მაღაზიაც დაულუქეს, რათა შეამოწმონ და მეტი ჯარიმები დააკისრონ.

მისივე თქმით, გართულებულია საგადასახადოსთან ურთიერთობა, ითხოვენ სხვადასხვა სახის დოკუმენტების შევსებას და რთული სქემებია, რასაც ვერ ერგებიან. ამ სქემების ათვისება განსაკუთრებით უჭირთ აზერბაიჯანული ეროვნების მოვაჭრეებს, რომელთა უმეტესმა ნაწილმაც ქართულად წერა-კითხვა არ იცის. თეთრეულის მაღაზიის მოვაჭრემაც, რომელიც დღეს დააჯარიმეს და მაღაზია დაულუქეს, ქართული არ იცის და ზედნადების შევსება არ შეუძლია.




ე.წ. ზედნადების გაუცემლობის მიზეზად, ერთი მხრივ, ქართული წერა-კითხვის უცოდინრობა სახელდება, იკვეთება სხვა პრობლემაც, რატომაც მოვაჭრეები ზედნადებებს ვერ გასცემენ.

მათი თქმით, საქონლის დიდი ნაწილი წინა წლების „ნაშთია“, რომელიც აღურიცხავი აქვთ და ასეთი კატეგორიის საქონელზე ზედნადებს ვერ შეადგენენ. ზედნადებში საქონლის წარმომავლობა, შესყიდვა და ფასიც უნდა იყოს მითითებული. ისინი აცხადებენ, რომ წინა წლებში სავალდებულო არ იყო ზედნადებები და ამის გამო ბევრი აღურიცხავი საქონელია შემოსული.

მოვაჭრეები მოითხოვენ, ამ საქონლის უზედნადებოდ გაყიდვის შესაძლებლობა მიეცეთ.

მათთვის, ასევე, მიუღებელია სხვა გადასახადები. ერთ-ერთი მოვაჭრის — დავით ანთიას განცხადებით, მათი მოთხოვნაა, დაწესდეს ფიქსირებული გადასახადები. როგორც მან აღნიშნა, მათთვის დიდი გადასახადია 18 პროცენტიანი დღგ-ც. მოვაჭრეები მოითხოვენ, რომ ეს გადასახადი 5 პროცენტამდე შემცირდეს.

დღეს იმასაც ყვებოდნენ, რომ რბილი სათამაშოებით მოვაჭრესთან საკონტროლო შესყიდვა სოლიდური თანხით ფეხმძიმე ქალბატონმა განახორციელა. 25 ლარად სათამაშო დათვი იყიდა. დოკუმენტებში საზითუმოდ გასაყიდი თანხა ჰქონდა დაფიქსირებული. სასალოს ფასში უანგარიშეს საქონელი და დააჯარიმეს.

მაღაზიები დღეს მხოლოდ რამდენიმე მოვაჭრეს არ დაუკეტავს. როგორც ისინი აცხადებენ, უერთდებიან გაფიცულთა მოთხოვნას გადასახადების შემცირებასთან დაკავშირებით და აპირებენ გაფიცვებს შეუერთდნენ.

... ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე ჟურნალისტები შეხლა-შემოხლის შემდეგ შევედით, რამდენიმე მაღაზიას მართლაც ედო დანომრილი ლუქები და გაკეთებული იყო წარწერა — „არ გახსნათ დაცვის გარეშე, დალუქულია საფინანსოს მიერ“.

დღის განმავლობაში აღნიშნულ საკითხზე ოფიციალური კომენტარიც გაკეთდა. როგორც შემოსავლების სამსახურის უფროსმა გიორგი ცხაკაიამ განაცხადა, ლილოს ბაზრობაზე მაღაზიები არ დალუქულა. მისი თქმით, კანონი ყველამ ერთნაირად უნდა დაიცვას.

„ლილოში არც ერთი ობიექტი დალუქული არ არის. კანონმდებლობით დადგენილი წესით, ყველა ადამიანს, როდესაც ყიდის პროდუქციას, დოკუმენტაციის გამოწერა ევალება. ამ დოკუმენტაციის გაუცემლობა ისჯება კანონით. ლილოში ტარდება საკონტროლი შესყიდვის, ინვენტარიზაციის და სხვა პროცედურები, რაც სხვა დროსაც ტარდებოდა და ჩატარდება მომავალშიც. ჩვენი მთავარი ამოცანაა, დავიცვათ კეთილსინდისიერი გადამხდელები, რომლებიც ჩვენგან დაცვას მოითხოვენ. როდესაც ისინი პროდუქციას ყიდულობენ, სჭირდებათ ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელსაც ვერ იღებენ. ჩვენ გვევალება იმის გაკეთება, რომ ყველა გადამხდელი ერთ პიროვნებში იყოს“, — აღნიშნა ცხაკაიამ.

* * *

**რაც შეეხება „ფორუმის“ დაკავებულ აქტივისტს, ის ლილოს პოლიციის განყოფილებაში არ აღმოჩნდა. კახა შარტავამ მხარდამჭერებს დაშლისა და მობილიზებულად ყოფნისკენ მოუწოდა. მისი თქმით, „ფორუმი“ გადადის საგანგებო მობილიზაციის რეჟიმში, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვაჭრეთა მხარდასაჭერად და ხელისუფლების წინააღმდეგ კონკრეტული ღონისძიებები დაიგეგმება და უახლოეს დღეებში გამოცხადდება....**

**ბელა ზაქაიძე,**
**ინტერპრესნიუსი**

პრესკონფერენცია

# მკვდარი ხელისუფლება და მოსყიდული ინტელიგენცია

**„მოსახლეობის ნამდვილი სოციალური გენოციდი სააკაშვილის „პოტიომკინის სოფლების“ ფონზე“, — ეს იყო „თეთრების“ ლიდერის თემურ შაშიაშვილის პრესკონფერენციის თემა.**

**შაშიაშვილმა გორსა და ფოთში არსებული ვითარების ფონზე დასძინა, რომ დღეს რეალურად მიმდინარეობს მოსახლეობის სოციალური გენოციდი. „თეთრების“ ლიდერმა არგუმენტად ციფრები მოიტანა:**



**საერთაშორისო საარსებო კალათა საქართველოში აღარ არსებობს, რადგან მაშინ სწორედ საერთაშორისო კანონები უნდა შემოიღონ, რაც ხელისუფლებას ხელს არ აძლევს.**

**საქართველოში საარსებო მინიმუმი 140 ლარია, რუსეთში — 410-420 ლარი, ჩეხეთში — 1200-1400 ლარი, ძველ ევროპაში — 3500 ლარი, ანუ კალათის მიხედვით განსაზღვრული პროდუქტების შესაძენად ევროპული ფასებით საქართველოში 3500 ლარია საჭირო.**

**უმძიმესი ვითარებაა ამ მხრივ ფოთში, სადაც პრობლემა მხოლოდ წამლების გაძვირება კი არ არის, არამედ — ავადმყოფთა რაოდენობის გაოთხმაგებაა. მოსახლეობის თქმით, მათ თვეში 100 ლარი სჭირდებათ პურის, უშაქრო ჩაის, ტყემლის შესაძენად. ხალხი კალორიებით მდიდარ საკვებს ვერ ყიდულობს. დაავადმყოფეს საქართველოს მოსახლეობა.**

**თემურ შაშიაშვილმა 1 ადამიანზე განათლების ხარჯზეც გაამახვილა ყურადღება — საქართველოში ამ თვალსაზრისით 76 ლარი იხარჯება, როცა არც ერთ ქვეყანაში 100 ლარზე ნაკლები არ არის, გერმანიაში კი ეს ხარჯი 2800 ლარს აჭარბებსო.**

**თემურ შაშიაშვილის თქმით, გორსა და ფოთში ხელისუფლება მკვდარია. სულს ღაფავს ოპოზიცია. მხოლოდ თითოოროლა პიროვნება ეიმედებათ... „მოსახლეობა ყველაზე ცუდად მაინც ინტელიგენციას აფასებს. და მათ მოსყიდულად მიიჩნევს. იმის მაგივრად, რომ ინტელიგენცია ხალხს ხელისუფლებისგან იცავდეს, პირიქით იქცევა — ხელისუფლებას ჩვენგან იცავსო. მათ კრიტიკულად მოიხსენიეს ცნობილი მეცენატი ივანიშვილი, რომელმაც სტიპენდიები დაუნიშნა ინტელიგენციის წარმომადგენლებს — ის ხალხი მიზანმიმართულად დააპურეს, რომ ქუჩაში არ გამოსულიყვნენო. ერთ ოჯახში 3 კაცი იღებს ივანიშვილის სტიპენდიას, მაშინ, როცა კაცს ფოთში მეზობელი გარდაეცვალა, 2-2 ლარი შეკრიბეს და ერთმა ოჯახმა ფულის ნაცვლად ტყემალი მიიტანაო“.**

**თემურ შაშიაშვილმა ჟურნალისტებს დასავლეთ საქართველოს განწყობა გვამცნო — 80 პროცენტი შიმშილობს, თურმე ფოთში რვა წლის წინათ დღეში 3 ტონა ხორცი იყიდებოდა, დღეს კი ეს რაოდენობა 400 კილოგრამამდე დავიდა, ანუ 1 კაცს ფოთში 1 გრამი ხორცი ერგებაო.**

**სავალალოა ისიც, რომ ფოთში არც ერთ თანამდებობას ფოთელი არ განაგებს: საგადასახადო სამსახურის უფროსი ქუთაისელია, ფოთელები არ არიან არც ქალაქის გამგებელი და არც საკრებულოს თავმჯდომარე. „დღეს საქართველოში 4 ქალაქი — ფოთი, ზესტაფონი, ჭიათურა და მადნეული ნორმალურად უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ ამ ქალაქებში უმძიმესი ვითარებაა, რადგან მთელი ფული თავს იყრის პრეზიდენტის ყულაბაში, და იქიდან კაპიკებად უბრუნდებათ მათ მცხოვრებლებს. ეს არის გენოციდი.**

**ფოთელებს წყალი არ აქვთ, შუქი ხშირად ქრება. სამაგიეროდ არაბებმა პორტი იყიდეს, სხვისი ფულით რაღაც ტერმინალები შენდება. ესაა სწორედ „პოტიომკინის სოფლები“, — დაასკვნა შაშიაშვილმა.**

**შაშიაშვილმა ისიც დასძინა, რომ უმძიმესი ვითარების გამო იზრდება უცხოეთში წამსვლელთა რაოდენობა. თურქეთის ქართველობის მძიმე ცხოვრებაზე ისაუბრა ტრაპიზონელმა ახალგაზრდამ შოთა ჯიქიამ.**

**თეიმურაზ შაშიაშვილმა მიმართა იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ხალხს ლანძღავენ და აღნიშნა, რომ ხალხის გამოსვლა სოციალურ საკითხებზე არადემოკრატიულ ქვეყანაში უმართებულოა. სწორედ ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ამიტომ აუცილებელია პოლიტიკური პროტესტი, რომელსაც პოლიტიკოსები ჩაუდგებიან სათავეში. ხალხი პოლიტიკური პროტესტის დროს უფრო დაგვიდგება მხარშიო.**

**ნატა ნიბლაძე**

გაუტიეს!

# შოუ პროგრამები ჯანმრთელობის სანაცვლოდ

**„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პარლამენტიდან „შოუ პროგრამების ბიუჯეტის“ გაწვევას ითხოვს.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ბაღათურიამ აღნიშნა, პარლამენტში შეტანილ სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვის პროგრამები მთლიანად არის უგულებელყოფილი, სამაგიეროდ მილიონობით ლარით არის გაზრდილი შოუ პროგრამებისა და ახალი ძეგლების დაფინანსება.**

— დღემდე როდესაც ვიღებდი წერილს პირისგან, რომელსაც ჯანდაცვის კუთხით დახმარება სჭირდებოდა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვუგზავნიდი. წერილს ჯანდაცვის კომისია განიხილავდა. ამ კომისიის გაუქმების შემდეგ ველარ ვხვდები, ვის უნდა ვაცნობო პრობლემის შესახებ. მივითხოვ მოხდეს კვლავ ჯანდაცვის კომისიის აღდგენა, რადგან ქვეყანაში 100 ათასობით ადამიანს ჯანმრთელობის ისეთი მძიმე პრობლემები აწუხებს, რომლისთვისაც სახელმწიფო დაფინანსება აუცილებელია„ — აღნიშნა ბაღათურიამ.

— მაშინ, როდესაც ქვეყანაში 2 მილიონი მშიერი ადამიანია და ასი ათასობით ადამიანს ასეთი პრობლემა აწუხებს, ხელისუფლებას შემოაქვს შოუ პროგრამების ბიუჯეტი, სადაც მილიონობით ლარით არის გასართობი პროგრამების მოწყობა და ახალი ძეგლების მშენებლობაა დაფინანსებული. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებამ იზრუნოს ასეთ გაჭირვებულ მოსახლეობაზე, დაკავებულია 26 მილიონი ღირებულების ძეგლების მშენებლობით, — აღნიშნა ბაღათურიამ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

თბილისიდან ორ ნაბიჯზე

# ქართული აზერბაიჯანი

**ჟურნალისტების ჯგუფი ქვემო ქართლში მივდივართ.**

— ყოფილხართ ოდესმე ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ სოფლებში? — გვეკითხება ჯგუფის ხელმძღვანელი მარგარიტა ახვლედიანი.

პასუხი ყველას ერთნაირი გვაქვს — არა.

— თუ ასეა, მაშინ მეტად საინტერესო იქნება თქვენთვის საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან შეხვედრა, — გვეუბნება მარგარიტა და მანქანაში თბილისში მომუშავე ჟურნალისტების მცირე ჯგუფი ვსხდებით.

თბილისიდან მარნეულში ჩავდივართ, იქიდან კი გზად ცურტავს, ფარიზს და კიდევ რამდენიმე დასახლებულ პუნქტს გავდივართ და 40 წუთში სოფელ ტალავერში ვართ. ტრასიდან გადახვევის შემდეგ სოფლის შარაგზაზე მოსახლეები გვხვდებიან, ზურგზე წყლით სავსე კასრებით, ძირითადად ქალები არიან. მინდორში ახლად გაკრეჭილი ფარაა გაფენილი, ჰორიზონტზე ძველებური არქიტექტურული ძეგლის ნაშთები მოჩანს, სამწუხაროდ, არავინ იცის სახელი. საბჭოთა დროის ავტობუსი გვიახლოვდება. წარწერას ძლივს ვარჩევ: რუსულად აწერია „Фахрали“ — სოფლის შესასვლელთან კი ტრაფარეტია ქართული წარწერით „ტალავერი“.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამას ვეკითხები ადგილობრივებს.

„გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში 37 სოფელს აზერბაიჯანული სახელი გადაარქვეს და ჩვენი ფახრალიც ტალავერი გახდა“, — მეუბნება სოფლის ერთ-ერთი უხუცესი ვალიდა ხალილოვა და იხსენებს, რომ მაშინ სოფლის მოსახლეობას ეს გადაწყვეტილება არც ისე დიდი ხალისით მიუღია.

„ყველანი საქართველოს მოქალაქეები ვართ და, ღმერთის შემდეგ, ხელისუფლებას ვემორჩილებით, თუმცა გაუგებარია, რა მოიგეს იმით, რომ სოფელს ქართული სახელი დაარქვეს, ეკითხათ მაინც, რომ ამას აპირებდნენ. იმ დროს ახალგაზრდებს ძლივს ვაკავებდით, ტრაფარეტი რამდენჯერმე მოანგრიეს ტრაქტორით, დილით კი ისევ ახალი გვხვდებოდა. აგერ უკვე თითქმის ოცი წელი გავიდა და სოფელს მაინც ფახრალს ვეძახით“, — ამბობს ქალბატონი ვალიდა.

ტალავერი ბოლნისის რაიონს ეკუთვნის, სოფელში 13 000-მდე მოსახლეა. 2 სკოლაა, ერთ დროს საბავშვო ბაღიც ყოფილა. სოფლის ცენტრში „ნაციონალური მოძრაობისა“ და პრეზიდენტ სააკაშვილის აზერბაიჯანულ ენაზე დაბეჭდილი საარჩევნო პლაკატები დღემდეა გაკრული, გვერდით კი „ეროვნული საბჭო“ ერთიანობისკენ ქართულ ენაზე მოუწოდებს ელექტორატს.

ქუჩაში მოსეირნე მოსწავლეს ვთხოვთ, ქართული წარწერა წაიკითხოს. გოგონა ღიმილით და დამარცვლით კითხულობს პოლიტიკურ მოწოდებას.

„ქართულს სკოლაში ლიკა მასწავლებელი გვასწავლის, მაგრამ ჯერ წერა-კითხვა თავისუფლად არ შემიძლია“, — აზერბაიჯანულად გვეუბნება და ჩვენი კოლეგა, ჟურნალ „ახალგაზრდობის ხმის“ რედაქტორი რამილია ალიევა პატარა თანამგზავრის სიტყვებს გვითარგმნის.

ადგილობრივებისგან ვიგებთ, რომ ლიკა ერთ-ერთია იმ პედაგოგთა შორის, რომლებიც განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ პუნქტებში გაიგზავნენ ქართული ენის მასწავლებლებად.

„კარგი იქნება, თუ რამდენიმე ქართული ოჯახი იცხოვრებს ჩვენს სოფელში, მზად ვარ, სულაც ჩემთან ვაცხოვრო ახალგაზრდები — ჩვენს ყოფასაც გაეცნობიან და ჩემი შვილიშვილებიც ქართულს კარგად ისწავლიან“, — მეუბნება ქალბატონი ვალიდა ხალილოვა.

მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, ახალმა, მანამდე უცნობმა გარემომ საუბრის ინტერესი გაგვიზარდა და მეც მხცოვან ქალბატონს ბევრ რამეზე ვესაუბრე.

„წინათ უფრო მეტი ახალგაზრდა მიდიოდა სასწავლებლად ბაქოში, ახლა ბევრი მათგანი ფიქრობს თბილისში სწავლაზე. შარშან ჩვენი სოფლიდან ხუთმა ჩააბარა სახელმწიფო უნივერსიტეტში. რაღა მარტო ახალგაზრდები? გგონიათ, ჩვენ მოხუცებს არ გვინდა ქართული ვისწავლოთ?“, — მეკითხება.

ქალბატონი ვალიდას მხრიდან სახელმწიფო ენის შესწავლის სურვილი სულაც არ გამკვირვებია. აი, სოფლის ჯერ დაუმთავრებელი მეჩეთის ეზოში კი, იმან ნამდვილად გამაოცა, რომ აქ ქალბატონს სოფლის უხუცესი მამაკაცები და ახალგაზრდა ხოჯაც კი გულისყურით უსმენდნენ. მორიდების გრძნობას ცნობისმოყვარეობამ სძლია და ვუთხარი, როგორც ვიცი, მაჰმადიანურ საზოგადოება ქალს ნაკლებად მიიჩნევს მამაკაცის თანასწორად, თქვენ კი ასე გულდასმით გისმენთ სოფელი, რა არის მიზეზი?

„ორჯერ ვარ მექაში ნამყოფი, ერთხელ ჩემი გარდაცვლილი მეუღლის სულის საოხად, მეორედ კი დაღუპული შვილის გამო. ალბათ ამიტომ... მექასა და სხვა წმინდა ადგილებში მოლოცვა ნებისმიერ ადამიანს მეტ ძალას, სიბრძნეს და ავტორიტეტს მატებს ხალხში“, — მეუბნება ქალბატონი ვალიდა. ვიგებ იმასაც, რომ მისი შვილი მოსკოვში დანებით და ხელკეტებით შეიარაღებული „თავგადახოტრილი“ ახალგაზრდების ჯგუფს მოუკლავს.

„მართლა არ მეგონა, გადავიტანდი თუ არა, მაგრამ ღმერთი მოწყალეა და დაღუპული შვილის სანაცვლოდ, შვილიშვილი მომივლინა. არასდროს ისეთ გასაჭირს არ მოგვივლენს გამჩენი, რისი გადატანაც არ შეგვიძლია“, — მეუბნება და მეჩეთის ეზოში მდებარე სათავსოს ერთ ოთახთან მივყავარ. ვხედავ შავი ქსოვილით გარშემოვლებულ კუბოს ფიცრებს. სანამ რამეს გავიფიქრებ, მეუბნება:



„აქ იმდენად უჭირს ხალხს, რომ ხშირად კუბოს ფულიც კი არ გვაქვს და ამ ფიცრების გამოყენება გვიწევს. თუმცა, ჩვენი რწმენაც გვეუბნება, რომ მიცვალებული სუდარაში გავახვიოთ და ისე დავასაფლავოთ, მაგრამ მაინც, ვისაც აქვს შესაძლებლობა, საკუთარ მიცვალებულს კუბოში ასვენებს“, — ერთია წიგნებში ამოიკითხო სხვა კულტურისა და რელიგიის ხალხის ცხოვრება, მეორეა, რეალობაში შეეჯახო იმას, რაც აწუხებთ.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ტალავერში თვეების განმავლობაში ვერ გვარდებოდა, მეჩეთის მშენებლობის დაუსრულებლობაა.

XX საუკუნის დასაწყისში აგებული მინარეთი საბჭოთა კავშირის დროს, ქრისტიანული ეკლესიების მსგავსად, პარტიულმა ფუნქციონერებმა საქონლის სადგომად და სათავსოდ გამოიყენეს. სალოცავის კედლებიც წვიმამ, ქარმა და სიცხემ წლების წინათ ჩამოანგრია.

2009 წელს სოფელს მისი აღდგენა გადაუწყვეტია. ინიციატორი და პირველი შემომწირულობის შემტანი ქალბატონი ვალიდა გახლდათ: „შვილის დაღუპვის შემდეგ ოქროს როგორ გავიჩერებდი, ყველაფერი გავყიდე და ღმერთს შევწირე“, — იხსენებს ქალბატონი ვალიდა. უხუცეს ქალბატონს სხვებმაც მიბაძეს და დაიწყეს საუკუნოვანი მეჩეთის რესტავრაცია.

თუმცა, ამ დრომდე სალოცავის აღდგენა დასრულებული არ არის. მიზეზი კი ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ქმედება გახდა (მოგვიანებით, ბოლნისის საკრებულოს წევრის ყარა გულმამედოვისგან გავიგეთ, რომ ეს ჯგუფი „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ იყო).

„მოვიდნენ და გვითხრეს, ეს ქართული მიწაა და ვინ მოგცათ მეჩეთის მშენებლობის უფლებაო? ჯერ ქართულ ეკლესიებს მიხედეთ და მერე აიშენეთო? დიდად არ გავძალიანებულვართ, მოვერიდეთ სიტუაციის დაძაბვას, თან სასულიერო შესამოსელი ჰქონდა რამდენიმეს“, — იხსენებს სოფლის ხოჯა ადილ ნაბიევი.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის მორიგეობა სოფელ ტალავერში 5 თვე გაგრძელდა. თებერვლის თვეში სოფლის მკვიდრებმა წერილით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, კულტურის სამინისტროს, სახალხო დამცველს (გიორგი ტუღუში მხარის გუბერნატორთან და ბოლნისის გამგებელთან ერთად ჩასულა სოფელშიძ, საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის საპატრიარქოს.

სოფელში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მდივნის, დეკანოზ მამა მიქაელ ბოტკოველის წერილი ჩავიდა. ამ წერილს იქაურები ინახავენ და ჩვენც გვაჩვენეს:

იხ. 4 გვ.

ახალი პრობლემა

# 50-50-მილიონიანი ფონდები პრეზიდენტსა და მთავრობას, საზოგადოებას კი...

## რატომ დამძიმდება პედაგოგების მდგომარეობა გაისად?

**2013 წლიდან პედაგოგების მიმართ სახელმწიფო ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის, ხოლო მომავალი წლიდან განათლების სოციალური პოლიტიკა აბსოლუტურად იცვლება და მასწავლებელთა დაზღვევის წესები სხვაგვარი ხდება. მთავრობა ასეთი იდეების გახმიანებას ხშირად ცინიკურად უყურებს და „არგუმენტებით“ უარყოფს, მაგრამ ამჯერად ხელთა გვაქვს ჯერ კიდევ 2007 წლის 21 ნოემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ პედაგოგების დაზღვევის ას პროცენტს სახელმწიფო დააფინანსებს 2008-2010 წლებში. 2011 წელს დააფინანსებს ნახევარზე ცოტა მეტს (66.6 პროცენტს), ხოლო 2012-2013 წლებში 33,3 პროცენტს, ანუ მხოლოდ ერთ მესამედს.**

დადგენილებას ქრისტიან-დემოკრატებმა „მიაკვლიეს“ და იმთავითვე პროტესტი გამოთქვეს. გუშინ პარტიის ლიდერები პედაგოგებს პარლამენტშივე შეხვდნენ და ამის შესახებ უამბეს. „ქრისტიან-დემოკრატები ძირითადად დაინტერესებული ვართ განათლების, ჯანდაცვის, სოციალური სფეროთი, დასაქმების პრობლემებით, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ, — ამ მუშაობის დროს აღმოვაჩინეთ 2007 წლის მთავრობის დადგენილება, რომელმაც ძალიან გაგვაოცა. თანაც აღმოჩნდა, რომ იმ ბიუჯეტში, რომელიც დაჩქარებული წესით შემოიტანეს პარლამენტში, პედაგოგთა 18 მილიონით დაზღვევის პუნქტი არ დევს. მართალია, ბიუჯეტის ახალი ვარიანტი „ნახევარფაბრიკატია“ და ამიტომაც მისი უკან გაწევა მოვითხოვეთ, მაგრამ ეს მომენტი მაინც გვენიშნა.

ახალი ბიუჯეტის მიხედვით 50-50-მილიონიანი სარეზერვო ფონდები ექნებათ პრეზიდენტსა და მთავრობას, მაგრამ არაფერია ნათქვამი მათ გამჭვირვალედ ხარჯვაზე. 5 ნოემბერს შემუშავებული ბიუჯეტი შემოვა და მაშინ უფრო კარგად გამოჩნდება, რას ფიქრობს დაზღვევის შესახებ მთავრობა. ჩვენ შევეცდებით დავიცვათ პედაგოგთა ინტერესები საბიუჯეტო განხილვების დროს და რამენაირად მოვახერხოთ შეთანხმება მთავრობასთან“, — დაჰპირდა თარგამაძე პედაგოგებს.

დაახლოებით 100 ათას ადამიანს ეხება პედაგოგთა დაზღვევის პროგრამა. თუ მასწავლებლებს მომავალი წლიდან დაზღვევის თანადაფინანსება მართლაც მოუწევთ, მაშინ ხელფასის 10 პროცენტი, ანუ დაახლოებით 20 ლარი უნდა შეიტანონ ყოველთვიურად. „18 მილიონი ლარიდან 6 მილიონ ლარზე ხელისუფლება ხელს იბანს. და კიდევ უფრო მთავარი ის არის, რომ თუ მასწავლებელი ყოველთვიურად დაზღვევის მესამედს არ გადაიხდის, მაშინ სახელმწიფოც არ დააფინანსებს და დაზღვევის პროგრამაში მონაწილეობას ავტომატურად შეწყვეტს“, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ. ის დადგენილების შეცვლას მოითხოვს, იქამდე მაინც, ვიდრე პედაგოგის ხელფასი საშუალოდ 600-700 ლარს არ მიაღწევს.

რაც ყველაზე მეტად აშფოთებთ პედაგოგებს, ისაა, რომ 2013 წლიდან სახელმწიფო დაზღვევის პასუხისმგებლობას მთავრობა აბსოლუტურად იხსნის. ეს მაშინ, როცა აქტუალური გახდა უცხოეთიდან მასწავლებლების ჩამოყვანის პროცესი და იმათი დაფინანსება.

**ვნახოთ, რას გადაწყვეტენ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები, რამდენად პრაგმატულად მიუდგებიან საკითხს; 100 ათასი ადამიანის საერთო უკმაყოფილებას, ალბათ, 18 მილიონი ლარის დახარჯვა სჯობს.**

**ნია ფიფია**

მედიცინა

*...ის ირლანდიელ ხუთი თვის ბიჭუნას სინჯავს, რომელსაც დედა ქართველი ჰყავს. მამას ინგლისურად ესაუბრება ექიმი. მშობლებს ალექსის თავის ფორმა არ მოსწონთ. ფორმას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია შიგ რა ექნებაო, – იუმორით ამბობს პედიატრი. მადლიერი მშობლები იცინიან, არაფერია სერიოზული და საგანგაშო, ცოტა მედიკამენტების წაშველება და ჯანმრთელი ალექსი მალე ირლანდიაში გაფრინდება...*

*ეს ექიმი ყარამან (გია) ფაღავაა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. „არა, ზოგჯერ კი უნდა გახდეს ბავშვი ავად, ესეც მნიშვნელოვანი ასპექტია. მშობელს უნდა, რომ საერთოდ ავად არ გახდეს მისი შვილი, არადა პირიქით, წელიწადში ერთი-ორჯერ მსუბუქი ინფექცია თუ დაემართება, ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, ეს იმუნიტეტს ავარჯიშებს“, – რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ამას ცნობილი პედიატრი ამბობს. ესეც სამედიცინო ლოგიკაა, რომელსაც სავალდებულოა, დავეთანხმოთ, რადგან არავის ისე იმედით არ შეჰყურებს ადამიანი, როგორც ექიმს. და საერთოდ, თუ ექიმთა კლასიფიკაციას დავიწყებთ, ჩემი აზრით, მათ შორის უპირველესია პედიატრი-ექიმი, რომელსაც პაციენტისა უსიტყვოდ ესმის... ამჯერად ბატონ ყარამანს იმ უხვი სამედიცინო კონფერენციების გამო ვეწვიეთ, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში გაიმართა და „პედიატრიული შემოდგომა“ ამიტომაც უწოდეს.*

# ექიმი, რომელსაც პაციენტებისა უთქმელად ესმის...



## „პედიატრიული შემოდგომა“ თბილისში

„მოგეხსენებათ, „სწავლა სიკვდილამდეო“, ამიტომ მედიცინაში არის ასეთი ტერმინი „უწყვეტი განათლება“. რაც გინდა კარგი ექიმი იყო, საჭიროა დახელოვნება, ახალი ინფორმაციის მიღება, განათლება..., – ამბობს ბატონი ყარამანი, – რამდენიმე კონფერენციის ორგანიზატორი ვიყავი და ეს ერთგვარად საინტერესო დამთხვევაც იყო. სექტემბერში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია იშვიათ დაავადებებს შეეხებოდა. ეს პრობლემა მნიშვნელოვანი იმით არის, რომ ასეთი 6-7 ათასი დაავადება არსებობს, რომელიც ექიმს უნდა ახსოვდეს, მაგრამ შეუძლებელია კარგად იცოდეს. არადა, დაავადებას იმიტომაც ვუწოდებთ იშვიათ, „ობოლ დაავადებას“, რომ ის 2000 ადამიანიდან ერთს ემართება, თუმცა კი მოსახლეობის 5-8 პროცენტი მაინც ამ ავადმყოფობით იტანჯება. არის მეორე ფაქტორიც, ფარმაცევტული ფირმები არ არიან დაინტერესებული ასეთი დაავადებების სამკურნალო წამლების შექმნით. მაგალითად: კისტოფიბროზი, არასრული ოსტეოგენეზი, ალაჟილის სინდრომი, ფენილკეტონურია... ჩვენ შევქმენით პროგრამა, და დაახლოებით ის 100 დაავადება გამოვყავით, რომელიც უფრო მეტად არის დამახასიათებელი ჩვენი რეგიონისთვის, თუნდაც ოჯახური ხმელთაშუა ზღვის ცხელება. ამ პრობლემის აქტუალობაზე ისიც მეტყველებს, რომ ქალბატონი სანდრა რულოვსის ინიციატივით გაიხსნა სპეციალური „იშვიათი დაავადებების ალიანსი“.

**– იშვიათი დაავადებები მხოლოდ პედიატრებისთვის არის აქტუალური?**

– არა, რასაკვირველია, თუმცა იშვიათი დაავადებების გამოვლენა ძირითადად ბავშვთა ასაკში ხდება, რადგან ამ დაავადებების ლომის წილი გენეტიკაზე მოდის. ამიტომაც ეს უპირველესად პედიატრიული პრობლემაა. რამდენიმე რაიონში ლექციები წავიკითხეთ. ამ შეხვედრებს ის დატვირთვა მიეცა, რომ გაგვემახვილებინა სამედიცინო საზოგადოების ინტერესი ამ დაავადებათა მიმართ. ეს იყო, ასე ვთქვათ, ექიმთა „სენსიბილიზაცია“.

მედიცინა რთული საქმეა. არავინ არის დაზღვეული შეცდომისგან. გერმანიაში ვარ სემინარზე მიწვეული, რომელიც სწორედ „სამედიცინო შეცდომებს“ შეეხება. ეს იქაც აქტუალურია. ახალი მიდგომებია საჭირო, შეცდომების მინიმალიზაცია რომ მოხდეს.

ჩვენს კონფერენციაში მონაწილეობდნენ იშვიათი და გენეტიკური დაავადებების ასოციაციის წარმომადგენელი თამარ ჩიხლაძე, ტრავმატოლოგიის ინსტიტუტიდან მერაბ ჩხატარაშვილი, სამედიცინო ინსტიტუტიდან მე გახლდით. გვყავდა სტუმრები ჰოლანდიიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, კანადიდან, რუსეთიდან. ამ კონფერენციამ დიდი საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა, პირველი იყო სამხრეთ კავკასიაში და, თუ არ ვცდები, პოსტსაბჭოთა სივრცეშიც.

მეორე კონფერენცია – ეს იყო საქართველოს ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა VI კონგრესი, საერთაშორისო მონაწილეობით, რომელიც წყალტუბოსა და თბილისში ჩატარდა. ორი სექცია მუშაობდა პედიატრიულ პრობლემებზე. კონგრესის პრეზიდენტი იყო აკადემიკოსი რევაზ სეფიაშვილი, რომელიც ამჟამად რუსეთშიც მოღვაწეობს და ამავე დროს არის წყალტუბოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. მოღვაწეკაცია, ამ ყრილობაზე იგი ალერგოლოგ-იმუნოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარედ ავირჩიეთ.

და ბოლო კონფერენცია. ეს იყო სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის, „ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა III“, რომელსაც ყოველწლიურად ვატარებთ. ის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მე-80 წლისთავს მივუძღვენით. კონფერენციას წინ ტრენინგები უსწრებდა. დაახლოებით 180-მდე მსმენელი გვყავდა სხვადასხვა რაიონიდან. პირველი მოხსენება ჩემი იყო, რომელიც ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის განვითარებაში სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრების წვლილს შეეხებოდა. საინტერესო თემები იყო დამატებითი კვების თანამედროვე ასპექტზე, ხშირად მოავადე ბავშვებზე, ყურადღების დეფიციტზე და ა. შ. სულ 36 მოხსენება იყო, შევეხეთ პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან საკითხს. კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა ასევე სიმპოზიუმი, მიძღვნილი პროფესორ იოსებ კვაჭაძის ნათელი ხსოვნისადმი. კონფერენციის მასალები (სრული მოხსენებები) ერთ წიგნად ავკინძეთ და მას სამაგიდო წიგნადაც გამოიყენებენ კოლეგები. მე, პირადად, ნამდვილად კმაყოფილი ვარ.

**– ბატონო ყარამან, მართალია, ვრცლად შეეხეთ თითოეულ კონფერენციას, თუმცა მაინც გკითხავთ, რით არის ის მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ექიმთა წრისთვის, არამედ ჩვენი მკითხველისთვის?**

– ექიმები ერთი დიდი ოჯახი ვართ. მართალია, ამა თუ იმ დაავადების მკურნალობის მეთოდები ყველგან თითქმის ერთნაირია, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ინდივიდუალური თავისებურებანი. ამიტომ ჩვენ ხშირად ერთმანეთს ვეკითხებით, აზრებს ვუზიარებთ. გლობალიზაცია მედიცინასაც მოიცავს, უნდა ვიცოდეთ მკურნალობის და დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები, რომელსაც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში იყენებენ, და, შესაბამისად, დავნერგოთ ისინი. ისე რომ, ეს ჩვენ პაციენტებს წაადგება. ისე ჩვენცა გვაქვს სიახლეები. ასე, მაგალითად, სულ ახლახანს დავადგინეთ, რომ თუ ბაქტერიოფაგს დასალევად მივცემთ ავადმყოფს, იგი თავის-ზურგტვინის სითხეშიც გადადის და ხელს შეუწყობს მენინგიტის უფრო წარმატებულ მკურნალობას. ეს პრიორიტეტულია. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ პედიატრებმა უნდა ხელი შევუწყოთ ბავშვთა განვითარებას, რათა მათი სრულყოფილი თვითრეალიზაცია მოხდეს. მნიშვნელოვანია ასევე ბავშვთა დაცვაც. ყველამ იცის, ბავში ფიზიკური და სექსუალური ძალადობისგან რომ უნდა დაიცვას, მაგრამ ასევე აუცილებელია ბავშვის ემოციური დაცვაც.

**– რაიმე თავისებურება ხომ არ ახასიათებთ ქართველ ბავშვებს?**

– არა, ბატონო, ჩვენი ბავშვებიც ისეთივე ბავშვები არიან, როგორც მსოფლიოს ბავშვები, ევროპელები.

**– სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ხანდახან მშობელს არც აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ბავშვი პედიატრს ანახოს...**

– რა თქმა უნდა, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობა უაღრესად დიდია. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ მძიმე შემთხვევებმა გარკვეულად იკლო. ამაღლდა საზოგადოების კულტურის, სამედიცინო-პროფილაქტიკური განათლებულობის დონე. დაზღვევის სისტემაც მოქმედებს დადებითად.

**– თვითმკურნალობაზე რას იტყვით?**

– თვითმკურნალობა იყო, არის და იქნება. მაგრამ მთავარია, მშობელს და, საერთოდ, მოსახლეობას ვასწავლოთ, როდის უნდა მიიყვანონ აუცილებლად ბავშვი ექიმთან, თვითონაც როდის უნდა მიმართონ სპეციალისტს. სწორედ ამაში გვჭირდება მედიის დახმარებაც. არ არის აუცილებელი მცირე სურდოს დროს პედიატრთან მისვლა, არც 38,5-მდე სიცხეა საგანგაშო. შედარებით უწყინარია ვიტამინების მიღება, თუმცა უზომოდ ისიც არ შეიძლება. მაგრამ თუ არის ძლიერი მუცლის ტკივილი, პირღებინება, სისხლჩაქცევები, გამონაყარი, ცნობიერება დაბინდულია, თავს ვერ ხრის და სხვა – აუცილებლად ექიმმა უნდა გასინჯოს. ხაზი მინდა გავუსვა იმასაც, რომ მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ოჯახში ნემსების გაკეთებისა, რისკი დიდია. ეს სამედიცინო პროცედურა სტაციონარში ან პოლიკლინიკაში უნდა გაკეთდეს.

დაბოლოს დავსძენდი, რომ არსებობს ცნება „ინპრინტინგი“, ანუ ტვინში ჩაბეჭდვა. სიცოცხლის პირველ დღეებში, თვეებში, წლებში რაც ჩაიბეჭდება გონებაში, ის სამუდამოდ გაჰყვება ადამიანს. თუნდაც „იავნანამ რა ჰქმნა?!“ – ეს მსოფლიოში აღიარებული მეთოდია, სპეციალისტებისთვის კლასიკური მაგალითია. მეტსაც ვიტყოდი, იმპრინტინგი პატრიოტიზმის ფიზიოლოგიური საფუძველია, ხოლო სამშობლოს და დედის სიყვარული პიროვნების თვითრეალიზაციის აუცილებელი პირობაა.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# დამსახურებული პატივგება

**21 ოქტომბერს აკადემიური საბჭოს სხდომათა ხალხით სავსე დარბაზი ლამაზი ცერემონიალის მოწმე გახდა: აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ სმეაის უცხოელი წევრის დიპლომი გადასცა მსოფლიო სახელის ქირურგ-ონკოლოგს, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ამას წინათ სხვებთან ერთად არჩეულ ჯამილ აზიზის ძე ალიევს (დრონი მეფობენ და დიდი ხნის მოძმე და მეზობელი აზერბაიჯანი უცხოეთი გახდა...).**

ბატონმა თამაზმა გულითადად მიულოცა ძვირფას სტუმარს ასეთი პატივი და დაულოცა დასტაქრული მარჯვენა, რომელსაც ამდენი სიცოცხლე გადაურჩენია და საჩვენებელი ოპერაციები გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში და სხვაგან გაუკეთებია.

ჯამილ ალიევი გახლავთ რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ლონდონის უნივერსიტეტის ჰამერსმიტის ჰოსპიტალის საპატიო წევრი და კიდევ მრავალი პრესტიჟული ორგანიზაციით სახელდებული – მსოფლიო სახელიც ხომ ეს არის!

სტუმარმა მხურვალე მადლობა გადაიხადა ესოდენ მაღალი პატივისათვის და განსაკუთრებული სიმპათია გამოთქვა საქართველოსა და მისი ხალხის მიმართ, ხაზი გაუსვა რა ორი მეზობელი ქვეყნისა და იმათი სწავლულების ძველ მეგობრობას. ჯამილ აზიზის ძემ რუსულ ენაზე წაგვიკითხა მოხსენება „აზერბაიჯანის რესპუბლიკის ონკოლოგიური სამსახური და მისი განვითარების პერსპექტივები“, ეკრანზე უხვად ილუსტრირებული.

შეკითხვებიდან ერთი ჩვენი გაზეთის სახელითაც დაისვა: როგორ ფიქრობს ბატონი ჯამილი, შესაძლებელია თუ არა 21-ე საუკუნეში კიბოს დამარცხება?

– იმედს არ ვკარგავთ, რომ ასე მოხდება, ყველაფერი აქეთ მიდის. ჩვენს სფეროში მიღწევების წყალობით ადამიანები უკვე ცოცხლობენ დიდხანს, – იყო გამოჩენილი მედიკოსის პასუხი.

მოხსენებას მოჰყვა მილოცვებისა და მისალმებების გაგრძელება, საჩუქრების გაცვლა-გამოცვლა (ჩვენს აკადემიას სამახსოვროდ ზაქოსხედებიანი მშვენიერი სურათი დარჩება), შამპანურიანი სასმისის ჩამოტარება...

მიმლოცველთა და მიმსალმებელთა შორის გახლდნენ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე, ეროვნული ონკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი რევაზ გაგუა.

ბატონმა რევაზმა შეგვახსენა დამსწრეთ, რომ ონკოლოგიაში ჯამილ ალიევის დამსახურებები თავის დროზე აღნიშნული იყო საქართველოს ეროვნული ონკოცენტრის ოქროს მედლითა და საპატიო დოქტორის დიპლომით. მანვე ერთობ მიზანშეწონილად მიიჩნია საერთო კავკასიური კიბოსაწინააღმდეგო ალიანსის შექმნა, რომლის ინიციატორები აზერბაიჯანისა და საქართველოს ონკოლოგები იქნებიან...

შინაარსიანი საააკადემიო ცხოვრება გრძელდება და ოქტომბრის ბოლომდე კიდევ რამდენიმე საგულისყურო ღონისძიებაა დაგეგმილი.

**თამაზ ეზანოიძე**

თბილისიდან ორ ნაბიჯზე

# ქართული აზერბაიჯანი

(მესამე გვერდიდან)

„მისი უწმინდესობის და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა კურთხევით მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ საქართველოს საპატრიარქო არასოდეს ერევა მსგავს ქმედებებში და არ აქვს არანაირი პრეტენზია, თქვენს სოფელში აღადგინოთ თქვენი სარწმუნოების სალოცავი. ნებისმიერი ქმედება, სალოცავის აღდგენის წინააღმდეგ მიმართული, არ იქნება მოწონებული საპატრიარქოს მხრიდან. იგი ჩაითვლება პიროვნების თვითნებობად“.

სულიერთან ერთად, მატერიალური საკვების მოპოვება და მიღება სოფლის მკვიდრებისთვის არც ისე ადვილი საქმეა. მოსახლეობა თავს ძირითადად მეცხვარეობით და კარტოფილის, ლობიოს და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანით ირჩენს, მიწაზე საკუთრების მიღება კი ის პრობლემაა, რომელიც, ტალავერელების თქმით, კიდევ კარგა ხანს არ მოგვარდება.

„კომუნისტების შემდეგ მიწები სახელმწიფომ იმ ადამიანებს მიჰყიდა, დღემდე რომ თვალით არ გვინახავს. მოდიან ადამიანები და მათ ვუხდით არენდის თანხას (ჰექტარზე 1000 ლარი). მაშინ კი, როცა მიწის გაყიდვაზე აუქციონი ტარდებოდა, არც გვატყობინებდნენ ან, თუ გვეუბნებოდნენ, ისეთ ფასს დაადებდნენ, რომ შესაძენად სახლის გაყიდვა დამჭირდებოდა“, – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრი.

მიწისგან განსხვავებით, წყლის საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარებულია. ყოველ ქუჩაზე წყალსაქაჩები დამონტაჟდა და მოსახლეები წყალს კასრებით ეზიდებიან.

და გზა... რა თქმა უნდა, გზა, რომელზე გავლაც ჩვეულებრივ მსუბუქ მანქანას გაუჭირდება. ბოლნისის საკრებულოში სოფლიდან არჩეული ყარა გულმამედოვი ამბობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ყოველწლიურად თითო კილომეტრს აგებს, ბიუჯეტის ნაწილს კი ახალი კლუბის ასაშენებლად ხარჯავს. „რა უფრო პრიორიტეტულია, ტრასამდე დასაკავშირებელი გზის დასრულება თუ ახალი კლუბი?“ – ჟურნალისტების კითხვაზე თვითმმართველობის წარმომადგენელი ამბობს, რომ სულ რაღაც 2.5 კილომეტრია დარჩენილი ტრასამდე – ან ჩვენი მანქანის სპიდომეტრმა აურია ან ჩვენ შეცდომით გვეჩვენა ტრასამდე მისასვლელი გზა (სულ მცირე, 7-8 კმ-მდე).

* * *

მეჩეთის ეზოში გადახურულში ჩაის და უგემრიელეს ტკბილეულს მივირთმევთ. დაკვირვებული ვარ, რომ ახალ გარემოში დროც ახლებურად, უფრო აჩქარებულად გარბის.

„დღეს ჩვენებურად ვერ გაგიმასპინძლდით, მაგრამ მეჩეთს რომ დავასრულებთ, ყველას დაგპატიჟებთ“, – ასე გვემშვიდობება ქალბატონი ვალიდა და ხელს გვიქნევს.

უკანა გზაზე ახლა უკვე მარნეულიდან მომავალი სამარშრუტო ტაქსი შემოგვხვდა წარწერით „Фахрали“, სოფლის გასასვლელთან კი ისევ „ტალავერს“ ვკითხულობთ...

„დაანებეთ ჩემს ცოლს თავი“, – ცნობილი ფილმის ცნობილი ფრაზა მახსენდება.

**მალხაზ ჭკადუა,**
**ინტერპრესნიუსი**

# დღესაც შემოქმედებით ძიებაში

**ღვაწლმოსილ ქართველ მეცნიერს, ცნობილ ქიმიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს გიორგი ვლადიმერის ძე ციციშვილს დაბადებიდან 95 წელი უსრულდება.**

გიორგი ციციშვილი დაიბადა 1915 წლის 24 ოქტომბერს, თბილისში, ლადო და ქსენია ციციშვილების ოჯახში. საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილია მისი წინაპრები – ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, XV საუკუნის მეცნიერი, სამკურნალო წიგნი „კარაბადინის“ ავტორი; სარდალი ზაზა, მეფე ლუარსაბ II-ს სადროშოს მეთაური, რომელიც გმირულად დაიღუპა ქართლში შემოჭრილ ყირიმელებთან ბრძოლაში; ზაზას შვილიშვილი ნოდარი, სათავგადასავლო პოემა „ბარამგურიანის“ ავტორი; ნოდარის შვილიშვილი, სარდალი ალექსანდრე, რომელმაც თავი დასდო ასპინძის ბრძოლაში; მისი შვილიშვილი დავითი, თბილისის მოურავი, მეფე ერეკლე II-ს სიძე; დავითისა და ბატონიშვილ მარიამის შვილი ესტატე, თბილისის უკანასკნელი მოურავი; ესტატეს შვილი, „ვოლტერიანელი“ დავითი. თავად დავით ციციშვილის შვილიშვილმა ლადომ მე-XX საუკუნის დასაწყისში მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება ხარკოვის უნივერსიტეტში, მთელი ცხოვრების მანძილზე ზრუნავდა საქართველოში სამკურნალო და პროფილაქტიკური დაწესებულებების ჩამოყალიბებაზე და იყო იმ მოღვაწეთა კოჰორტაში, ვისაც პირველად მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება.

***გიორგი ციციშვილი ნაყოფიერად თანამშრომლობდა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებთან. მან დიდი წვლილი შეიტანა ადსორბციულ მოვლენათა კვლევების საერთაშორისო კომპლექსური პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში. ბატონ გიორგის მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა წამყვან რუს, ამერიკელ, ევროპელ და იაპონელ მეცნიერებთან, იგი აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ადსორბენტების სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში.***

მისმა შვილმა გიორგიმ სკოლის დამთავრების და წარმოებაში სამუშაო სტაჟის მოპოვების შემდეგ 1932 წელს 17 წლის ასაკში გახდა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი. 1935 წელს გიორგი გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სწავლასთან ერთად მუშაობდა უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის კოსმიური სხივების ლაბორატორიაში.

1937 წელს გიორგი ციციშვილმა წარმატებით დაამთავრა თსუ-ს ქიმიის ფაკულტეტი, ჩაირიცხა ასპირანტურაში და 1938 წლის დასაწყისში მივლინებული იყო მოსკოვში, ლ.კარპოვის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ფიზიკურ-ქიმიურ ინსტიტუტში, სადაც პროფესორ ალექსანდრე ჟუხოვიცკის ხელმძღვანელობით მოამზადა და 1940 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. საქართველოში დაბრუნებისთანავე, 1940 წელს გიორგი ციციშვილი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომლის პროფესორი იგი გახდა 1949 წელს. 1941 წლიდან გიორგი ციციშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში.

ომის დროს გიორგი ციციშვილი ასრულებდა სახელმწიფო დავალებებს ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის ასამაღლებლად, ომის დამთავრების შემდეგ მან გააგრძელა სამეცნიერო კვლევები და 1947 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ენციკლოპედიაში „მსოფლიოს გამოჩენილი ქიმიკოსები“ (მოსკოვი, 1991) აღნიშნულია გიორგი ციციშვილის ამ პერიოდის ფუნდამენტური შრომები – წყალბადური ბმის თეორიისა და კვანტურ-ქიმიური მეთოდების განვითარება, ჰალოგენწყალბადების ასოციაციის თეორიული დასაბუთება.

1947 წელს გიორგი ციციშვილი დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორად, 1950 წელს ბატონი გიორგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1960 წელს – აკადემიკოსად, 1963 წელს – ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. აკადემიკოსი მიხეილ დუბინინი 1976 წელს წერდა – „*გიორგი ვლადიმერის ძე ციციშვილმა შექმნა საქართველოს ადსორბციული სკოლა*“, მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მაღალკვალიფიციური კადრები და შეიქმნა ექსპერიმენტული ბაზა. საფუძვლიანად გამოკვლეული იყო საქართველოს ბენტონიტური თიხები, შემდეგ – სინთეზური და ბუნებრივი ცეოლითები, მიღებული იყო ახალი მონაცემები მათი აღნაგობისა და თვისებების შესახებ. გიორგი ციციშვილის პირველი მონოგრაფია „სორბციული პროცესები“ (1959) დღესაც სამაგიდო წიგნია დარგის სპეციალისტებისათვის.

სამუშაოების დიდი ციკლი ჩატარდა ცეოლითური მოლეკულური საცრების მისაღებად. შემუშავდა ცეოლითების ჰიდროთერმული სინთეზის მეთოდები, დიდი ყურადღება ეთმობოდა იონმიმოცვლითი პროცესების კვლევას და კათიონ-ჩანაცვლებული ფორმების მიღებას, მათი აღნაგობისა და თვისებების შესწავლას ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით. დადგენილი იყო ცეოლითების თვისებებზე კათიონის სახეობისა და ჩანაცვლების ხარისხის გავლენა, ადსორბციული და კატალიზური ცენტრების ბუნება და მათი ფორმირების მექანიზმები.

ბატონმა გიორგიმ დიდი ინტერესი გამოავლინა საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების შესწავლისადმი და გახდა ამ ძვირფასი ნედლეულის წარმოების ორგანიზების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი. გ.ციციშვილის, თ.ანდრონიკაშვილის და ბულგარელი მეცნიერების გ.კიროვისა და ლ.ფილიზოვას მონოგრაფია „ბუნებრივი ცეოლითები“ გამოვიდა რუსულ (1985) და პოლონურ (1990) ენებზე, ხოლო მისი განახლებული რედაქცია ინგლისურ ენაზე (1992) ცნობილი ქიმიკოსის ტავერესის თქმით, „...*იმსახურებს უმაღლეს რეკომენდაციას*“.



**აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი – 95**

გიორგი ციციშვილი ნაყოფიერად თანამშრომლობდა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებთან. მან დიდი წვლილი შეიტანა ადსორბციულ მოვლენათა კვლევების საერთაშორისო კომპლექსური პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში. ბატონ გიორგის მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა წამყვან რუს, ამერიკელ, ევროპელ და იაპონელ მეცნიერებთან, იგი აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ადსორბენტების სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში და იყო ცეოლითების კომისიის ხელმძღვანელი, 1977 წელს არჩეული იყო ცეოლითების საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს წევრად, იგი აქტიური მონაწილეა სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებასა და მუშაობაში.

1975 წლიდან ბატონი გიორგის ინიციატივით გამოდის ჟურნალი „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია“; 1992 წელს მან ჩამოაყალიბა ცეოლითების საქართველოს ასოციაცია, იყო 2004 წელს გამოსული ოთხენოვანი ქიმიური ლექსიკონის რედაქტორი.

ვულოცავთ სახელოვან იუბილეს ბატონ გიორგის, ჭეშმარიტ ქართველ ინტელიგენტს, დიდ მეცნიერს, რომელმაც განსაკუთრებული ღვაწლი დასდო საქართველოში ქიმიური მეცნიერების წინსვლას და დღესაც შემოქმედებით ძიებაშია, ეწევა მნიშვნელოვან საქმიანობას ქართული მეცნიერების სასიკეთოდ, და ვუსურვებთ ჯანმრთელ, ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს.

**აკადემიკოსი**
**თეიმურაზ ანდრონიკაშვილი**

# ფასდაუდებელი ღვაწლი

**გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ციციშვილი აღიარებული იყო როგორც საქართველოში წამყვანი სპეციალისტი ქიმიის დარგში, იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან დავალებებს ასრულებდა. 1949 წელს გიორგი ციციშვილი მივლინებული იყო მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც შეუთანხმდა ქიმიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს აკადემიკოს მიხეილ დუბინინს თბილისში გამსვლელი სესიის ჩატარების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის ხელშეწყობით სესია ჩატარდა ამავე წლის შემოდგომაზე და ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ჩვენ ქვეყანაში ქიმიის განვითარებას.**

1950 წლის 28 დეკემბერს გიორგი ციციშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილების წევრ-კორესპონდენტად სპეციალობით „ფიზიკური ქიმია“.

გიორგი ციციშვილი აქტიურად შეუდგა სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობას – მისი ინიციატივით და ძალისხმევით 1953 წლიდან ტარდებოდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების ქიმიის ინსტიტუტების გაერთიანებული სამეცნიერო სესიები.

1959 წელს გიორგი ციციშვილი აირჩიეს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ და ბიუროს წევრად, ხოლო 1960 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და მან აქტიური მონაწილეობა მიიღო აკადემიის განვითარების საქმეში. 1963 წლის ოქტომბერში ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელზეც მიღებული იყო აკადემიის ახალი წესდება და დამტკიცდა ახალი სტრუქტურა, ხოლო ბატონი გიორგი არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად და ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად.

განყოფილება ხელმძღვანელობდა პეტრე მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, რაფიელ აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის, ფერდინანდ თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტისა და იოველ ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობას, აწარმოებდა ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების დარგში საქართველოში მიმდინარე კვლევების კოორდინირებას, რაც ეხებოდა საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის – ნავთობისა და გაზის, მანგანუმისა და ცეოლითების, სხვა ბუნებრივი, მათ შორის მცენარეული რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ასევე მეტალურგიული დარგის განვითარებას, სამკურნალწამლო პრეპარატების, სასოფლო-სამეურნეო საშუალებებისა და პოლიმერული მასალების წარმოებას და სხვ..

განყოფილება მჭიდროდ თანამშრომლობდა როგორც საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის განყოფილებასთან, ისე ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის, რუმინეთის, პოლონეთის, ბულგარეთისა და უნგრეთის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიებთან, კუბისა და ვიეტნამის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, რაზეც მეტყველებს საქართველოში ჩატარებული მრავალი ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია და სიმპოზიუმი. აკადემიკოს გიორგი ციციშვილის აქტიური პოზიციის შედეგად ქართველ ქიმიკოსებს საშუალება ჰქონდა ეწარმოებინა გამოკვლევები მოწინავე სამეცნიერო ცენტრებში.

თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში გიორგი ციციშვილი სათავეში ედგა საქართველოში ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განვითარებას. 1989 წლიდან ბატონი გიორგი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, ამჟამად – აკადემიური საბჭოს მრჩეველი და პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი.

გიორგი ციციშვილი ხელმძღვანელობდა ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებას, როცა მისი წევრები გახდნენ დღესაც აქტიურად მომუშავე ქართველი მეცნიერები – ეთერ ქემერტელიძე, თეიმურაზ ანდრონიკაშვილი, ირაკლი ჟორდანია, კოხტა ჯაფარიძე და ამ მოკლე ნარკვევის ავტორი, რომელიც გულწრფელად ულოცავს ბატონ გიორგის სახელოვან იუბილეს და უსურვებს მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

**აკადემიკოსი**
**გივი ცინცაძე**

# მსოფლიოში აღიარებული

**ქიმიის დარგში მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი გიორგი ციციშვილი მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს მთავარი ქიმიკოსია. ფართო სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა, გამორჩეული ნიჭი და კეთილმოსურნეობა შესაძლებლობას აძლევდა მას ათეული წლების განმავლობაში წარემართა საქართველოში ქიმიური მეცნიერების განვითარება.**

***ბატონი გიორგი გულისხმიერად ეკიდება ახალგაზრდა კადრების შერჩევასა და აღზრდას, მათ მეცნიერულ წინსვლას. ცალკე აღსანიშნავია მისი ტაქტი და მოზომილი ურთიერთობა თანამშრომლებთან.***

განსაკუთრებით დიდია აკადემიკოს გიორგი ციციშვილის ღვაწლი ქიმიის ინსტიტუტის განვითარებაში და შემდგომ გაფართოებაში. მან ჩაიბარა ეს ინსტიტუტი 1947 წელს სრულიად ახალგაზრდამ, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის პირადი რეკომენდაციით. ეს იყო ომის შემდგომი წლები, გადატვირთული სოციალური და ეკონომიკური სიძნელეებით, ასევე რთული იყო მდგომარეობა ინსტუტუტის კოლექტივშიც. გიორგი ციციშვილის მაღალმა პიროვნულმა ავტორიტეტმა ხელი შეუწყო ინსტუტუტში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას და სამუშაოთა პოზიტიურ განვითარებას. მისი ინიციატივით ინსტიტუტს აღუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის სახელი და შემდგომში ამ ინსტიტუტის საფუძველზე ხელი შეეწყო რამდენიმე ახალი ინსტიტუტის შექმნას.

ბატონი გიორგი გულისხმიერად ეკიდება ახალგაზრდა კადრების შერჩევასა და აღზრდას, მათ მეცნიერულ წინსვლას. ცალკე აღსანიშნავია მისი ტაქტი და მოზომილი ურთიერთობა თანამშრომლებთან.

ბატონი გიორგი ყოველთვის ღიაა რჩევებისა და რეკომენდაციებისათვის, იგი დიდი ინტერესით ეცნობა ახალ მეცნიერულ ინფორმაციას, მისი თითოეული რჩევა გამსჭვალულია კეთილმოსურნეობით და ზრუნვით. 95 წლის აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი დღესაც სამაგალითოა, როგორც მეცნიერი და პიროვნება.

**პროფესორი**
**ავთანდილ დოლიძე**

პოეზია



*პატივცემულო რედაქცია!*

*„საქართველოს რესპუბლიკა“ რომ ჩემი ოჯახის საყვარელი სტუმარია, ამის შესახებ არაერთხელ მითქვამს და დამიწერია.*

*ახლა ეს სიტყვები ცოტა ბანალურადაც მეჩვენება — ასე დაუსრულებელი სტუმრობა არ გამიგია. უფრო სწორი იქნება — „საქართველოს რესპუბლიკა“ ჩემი ოჯახის სრულუფლებიანი წევრია.*

*1982 წელს დავასრულე პოემა — „ძახილი“. ეს იყო ჩემი პირველი პოეტური ნაწარმოები შვიდი პროზაული წიგნის შემდეგ. ოთხი წლის განმავლობაში იწერებოდა იგი, მერე გამოქვეყნდა „ჭოროხისა“ და „მნათობის“ ფურცლებზე. გარკვეული მიზეზით მაშინ რამდენიმე ნაწყვეტი ამოიღეს, თუმცა რაც დაიბეჭდა, იმის გამო ადგილობრივი პარტიული ხელისუფლების წინაშე მომიწია თავის მართლება.*

*პოემაში ნათქვამმა 90-იანი წლების დასაწყისიდან იწყო მწვავედ გაცხადება და ბოლო წლებში სულ უფრო აქტუალური გახდა.*

*„საქართველოს რესპუბლიკა“ პოპულარული გამოცემაა და ჩემი დიდი სურვილია, მის ფურცლებზე დაიბეჭდოს ქვეყნისა და სამყაროს ტკივილით გაჯერებული „ძახილის“ ახალი ვარიანტი.*

*უღრმესი პატივისცემით*
*ვახტანგ ახვლედიანი*
*ქ. ბათუმი. 14/X.2010 წ.*

ვახტანგ ახვლედიანი

# ძახილი

## პუბლიცისტური პოემა

### I

მივუყვებოდი სოფლის შარას გვიანი მგზავრი. ვერცხლის ჩქერებად იღვრებოდა პირბადრი მთვარე. ჩემი სულიც, თითქო სავსე იდუმალ ჩქამით, მიიმღეროდა:

„ვარსკვლავიანსა ღამეეს..“

ამოიგრაგნენ ჰორიზონტიდან უცებ, ერთბაშად, და ბანჯგვლიანი, მოსავსავე მკლავების ტოტვით შემოეჯარნენ, შემოეკვრნენ მთვარეს ქათქათას პირდაღებული ურჩხულები — ღრუბლის ფრონტი.

ლეგა ნისლმა შთანთქა უცებ ღამის მნათობი და ჩემს ირგვლივ ჩამოეშვა მრუმე სიბნელე. ვარსკვლავებით მოჭიქული ზეცის ტატნობი დაეფარა გამჭვარტლულ და გაჩაჩხულ ხელებს.

აცა-ბაცად მივდიოდი სოფლის შარაზე, ღამე ჰგავდა ჩემს წინ თალხად დაშვებულ ფარდას. შუქის ყველა ხვრელი თითქო ერთად ჩარაზეს — დედამიწა ეშმაკეულ სამყაროს ჰგავდა...

უცაბედად წამოვკარი რაღაცას ფეხი (ან, ვინ იცის, მომეჭიდა უჩინო ჭინკა). ისე მწარედ, ისე მწვავედ დავეცი პირქვე, რომ ვიხსენებ, უცნაური ტკივილი მიტანს...

იმ გზას, იქვე, მოწანწკარე რუ კვეთდა თურმე, იდგა ჭანჭყოც, ჩვეულებრივ, როგორც ეს არი. სახე მსუყედ გამითხვარა ტლაპომ და წუმპემ, ხოლო შუბლი ამოშვერილ ქვაზე დავჰკარი.

ზოზინ-კლაკვნით წამოვდექი დამარცხებული... სქელი სითხე წვეთავდა და მისვრიდა პიჯაკს, თვალწინ ავად წრიალებდა წინწკლთა კრებული, კოპი... კოპი დაემსგავსა მჭლე კაცის იდაყვს.

მწარე ღიმით ქვა მოვსინჯე იქავე, რუსთან, და ჩამოვჯექ, უნებურად ფიქრში წასული. ჩუმ-ჩუმად ჩურჩულებდა წყარო და, უცებ გამახსენდა გასული წლის ცხელი ზაფხული: ბასრი ცულით ხე რომ მოვჭერ, ამაყად მდგარი, და მის ჩრდილში მოჟღურტულე დავამშრე წყალი...

ვიჯექ ასე, შეპყრობილი უცნაურ გრძნობით.

სულში... სულში ბრმა სიბნელის
მტკიოდა კოპი...

### II

ეს მე ვარ —
შენი სიბრძნით მოსული,
შენი სინდისი — ძე და ასული,
შენი გმირი ვარ, ტყვე და მსაჯული —
შენი ვარძია, შენი ხახული.
ვარ შენი კანტი, შენი ჰეგელი,
ჟანა დარკი და ავგუსტ ბებელი,
შენი ბახი და შენი რაველი,
ბერნსი, გოეთე და რუსთაველი,
შენი სიკეთის ნათელი სვეტი —
ბაბილონი და ტაო-კლარჯეთი,
შენი ლეგენდა, ზღაპარი, მითი —
თუთმოს მესამე და ნეფერტიტი.
ვარ შენი ლექსი, შენი სონეტი,
შენი ჯარჯი და შენი ოდეტა.
ძიება, პოვნა, პოვნა, ძიება,
ღვარძლი, შური და გულგაციება....
ვარ შენი მრთელის დანაყოფია —
ამაოების ფილოსოფია.
შენი სისუსტე და შენი დაღლა,
შენი ბერმუდი და მეცხრე ტალღა.
ჭექა-ქუხილი და შავი წვიმა,
შენი კივილი და...
ხიროსიმა!...

### III

სამყარო, დიდი სამყარო გაოცებული
თვალებით,
გაოგნებული გონებით,
ათრთოლებული სულით,
ატკივებული სხეულით
შეჰყურებდა სურათს საოცარს:
შორით-შორიდან —
ცისკიდურიდან —
ჰორიზონტიდან
თუ უშველებელ მზის გორგალიდან
(მერე იტყვიან, ნებითო ღმერთის),
გამოიყო ციცქნა-ციცქნა
წერტილი ერთი.

ასკინკილებით ხტოდა წერტილი,
მოხტოდა და თანდათანობით იკვეთებოდა
ქვეყნიერების მეფის და შვილის
გაფარჩხული,
სუსტი სხეული...

### IV

...მაგრამ ერთ დღეს მან ვერ გაუძლო
რაღაც ცდუნებას,
ათვალწუნებით გადახედა
დედაბუნებას
და აიბზუა ტუჩი:
„მე უნდა გარდაგქმნა შენ!“
არ დააყოვნა არცერთი წუთი,
უღვთოდ გაჩეხა
ტყე, ჭალა, ბუჩქი,
გადააშენა შველი და შურთხი,
„წამლად აქცია“ თართი და ზუთხი.
გზააბნეულმა მეუფის როლით,
გონწართმეულის ყიჟინით, ბრძოლით
დაატრიალა,
დაატრიალა,
დაატრიალა
და შიგ გულში ჰკრა დედამიწას
დიდი ჰოროლი.

### V

საგამოფენო დარბაზი დიდი
და ნახატების, ნახატების უწყვეტი რიგი.
გენიოსივით, მოჭუტული თვალების უკან,
უნიჭო და უტიფარი გონების ჭყლეტით
შექმნილ ტილოზე
კლავიშს აწვალებს გრიგი...
ვიღაც კაცი კი ყალბი პათოსით,
ყალბი ჟესტებით და პათეტიკით
ახასიათებს ნახატს
და ამ უტვინო ფერთა ქაოსში
პოულობს რაღაც ახალს:
„ო-რი-გი-ნა-ლუ-რი!..
თვითმყოფა—დი!. . .
ხედ-ვა!..
გა-მე-ბი!
როგორი ჭვრე-ტა!...
ფიქ-რი!...
წვდო-მა!...
ცხვი-რი!... თვალე-ბი!...
მე ახლა მესმის ამ ქმნილებიდან
ჟღერა კლავიშთა სიმის!...“
მე კი — პოეტის ამონაკვნესი:
„გულო, გაუძელი ტკივილს!...“

### VI

ადრიან გაზაფხულზე, როდესაც ტყემლის ტოტები იფეთქებენ თეთრად პირველად, და პირველ ხნულზე დასკუპდება ქურდი ბეღურა, პატარა ბიჭმა მოხუპრული ფოთლის ქვეშ, ველად, აღმოაჩინა თეთრი-თეთრი ბურთულა ციცქნა, ობობას ქსელით ნაქსოვი მჭიდროდ.

ერთხანს უცქირა ინტერესით, მერე —შუა გახლიჩა ბურთულა იგი...

და საოცრება! გამოცვივდნენ ათასი პატარა ნარინჯისფერი ობობუკები, თავის კორტოხზე სასაცილოდ დასკუპული ორი წერტილით, და შეპყრობილნი პანიკურ შიშით, რაღაც ერთ წამში გაიფანტნენ აქეთ და იქით...

დარჩა — მხოლოდ დედა-ობობა...
ო,არა,არა!...
გამომშრალი, გამოწოვილი-გამოწუწნული
ფიტული მისი...

### VII

სულით და ძარღვით უთვისტომო,
უცხო სხეული,
უმართავი, უმაძღარი, უშნო, გრძნეული,
კაცი ზონზროხა და ჭკუამრუდი
პატიოსნების მაგიდას უზის.
უტიფარი და გამჭოლი მზერით თვალების —
წარსული თუ მომავალი
ცხოვრება იგი,
ცის ლაჟვარდი,
კაცის ვალი
გონებაფლიდის
მრუდ პრიზმაში გარდატყდება
ისე მრუდედ,
ი-სე მრუდედ,
ისე მახინჯად,
ისე ყინჩად,
ისე ფინთად,
ისე ფაქიზად,
ისეთი დიდი ფანტაზიით,
ისეთი წვდომით,
ისეთი დიდი ხელოვნებით,
ისეთი ნდომით —
„ვაჰ, დრონი, დრონი!..“

### VIII

რატომ ხდება,
რატომ ხდება ასეთნაირად —
დირიჟორობს,
სმენაზე რომ ძალზედ მწყრალია?!
ვინ სტვირს აწვალებს,
ვინ ზაიანს,
ვინ კი დაირას,



ვინ კიდევ რომანსს,
სერენადას,
ვინ ლათაიას.
ზოგს თვალმიბნედვით აღუპყრია
საზანდარია,
ზოგი კი ხელებგაწვდენილი,
ჰკივის არიას ...
ვინ საქსაფონზე იგრიხება,
გიჟურად როკავს,
ვინ კიდევ დაბლა დაცემულა,
მუცელზე ხოხავს,
ზოგიც უსტვენს,
ამ აზარტულ რიტმში მტოფელი,
და ხარხარებს ამაზრზენად
მეფისტოფელი.
ბნელი კრება! — იგი ხვდება
დეტონაციებს
და უმართავს ბნელ სოლისტებს
ბნელ ოვაციებს...

### IX

ერთ ხრიოკ მთაზე, კლდე-ღორღებს შორის
პატარა ხე ამოვიდა ობლად.
უმწეო და სუსტი იყო იგი.
ვუშველოთო! —
იყვირეს ერთხმად ღრუბლებმა და სულ
დაბლა-დაბლა დაეშვნენ ფრენით,
ზრუნვით აპკურეს ჟუჟუნა წვიმა.
ჩიტბატონებმა,
საიდანღაც მოფრენილმა ჩიტბატონებმა
ნესტიანი ფოთლები მოზიდეს ტყიდან
და საქმიანად მიმოუპნიეს,
ხოლო ლოდებმა,
ერთი შეხედვით ქუშმა ლოდებმა,
მიიწიეს-მოიწიეს და
მიწა დაუთმეს უღონო ფესვებს.
— ო, გმადლობთ, გმადლობთ,
მეგობრებო! —
ამბობდა ხე და მიიწევდა
სულ მაღლა,
მაღლა,
ვაჟკაცდებოდა თვალსა და ხელსშუა,
ეფარებოდა მდელოებს, ლოდებს
და გოლიათის სიდარბაისლით
აშრიალებდა ამაყად ფოთლებს.
მოულოდნელად მახლობელ კლდიდან
იფეთქა წყარომ!...
სიმღერ-სიმღერით ჩაურბინა
სიცხისაგან გათანგულ ლოდებს,
გადარუჯულ-გადახრუკულ
ბალახებს, ბუჩქებს
და მაცოცხლებელ ღვთიურ ბალზამად
ჩაიღვარა იმათ სხეულში...
და მოხდა სასწაული! —
ოღრო-ჩოღროებზე,
მთის ფერდობებზე,
კლდის ქიმებზე და
კბოდე-მდელოებზე,
ერთი-მეორის მიყოლებით წამოიმართნენ
წიფლის ხეები.
ჰე-ჰე-ჰეიო! —
მძლავრი ტოტების ამაყი რხევით
შესძახა დედო-წიფელმა და
უდიადეს მშობლიურ გრძნობით გადახედა
მრავალრიცხოვან თვის ჯალაბობას, —
იზარდოსო, იმრავლოსო
ჩვენმა ჯილაგმა!
გამოხდა ხანი,
არვინ იცის, წელი რამდენი ...
ჰოდა, ერთ დილით,
ჩვეულებრივ ზაფხულის დილით,
მხარზე ავად მოჭიატე ბასრი ნაჯახით,
ადამიანმა შემოალაჯა უსიერ ტყეში.
დაღარულ ხესთან გაჩერდა იგი.
— დაბერებულხარ!... — წარმოსთქვა მან და
დამცინავად აბრიცა ტუჩი.
მერე ნერწყვით დაისველა დაკოჟრილი
ხელისგულები
და მთელის ძალით
აღმართა ცული...
უცებ გახევდა ! —
ხის ტოტებიდან თუ ფესვებიდან
კვნესა მისწვდა მას
იდუმალი.
მოსხეპილივით ჩამოუვარდა ბასრი ნაჯახი
და შემკრთალ სახით
ააყოლა
თვალები
წიფელს...
წიფლის ტოტებში დაჰქროდა ქარი,
განუწყვეტლივ ჩურჩულებდნენ
ფუღუროები,
ჭრაჭუნობდნენ ხმელი ტოტები
და ცახცახებდნენ აქა-იქა
შემორჩენილი უფერული და უღონო
ფოთლები...
შეუცნობელმა რაღაც ტკივილმა
შესძრა უცნობი,
ჭაღარაზე გადაისვა მთრთოლვარე ხელი
და ღონემიხდით
მიეყრდნო
წიფელს...
დიდხანს იდგა ასე ერთად
ორი მოხუცი.

### X

ვიცი, საიდან, როგორ მოხვედი,
მაგრამ... არ ვიცი საით მიდიხარ.
ჩემი აზრი და ფიქრი ყოველი
სავსეა შენი მზით და მიწითა.
საუკუნეთა უწყვეტი ჯარა
ვინ იცის, რამდენ ჯვარცმას გითვლიდა,
შორს, მომავალში წასული შარა
მორწყულა ცრემლით, ოხვრით, სისხლითა.
ვგრძნობ, კვლავაც დიდი ჯვარცმა მოგელის
შენივ ღალატის, ბეზღის ნიჭითა
და კვლავაც მოჰკვეთს მსახვრალი ცელი
მარჯვენს მამულის ერთგულ ბიჭისა,
კვლავაც მრავალჯერ იწივლებს ტყვია,
ნასროლი შენივ ჯიშის ლულიდან
და შეუყვები დრო-ჟამის ტრიალს
შენივე ყოფნის დასასრულიდან.

### XI

ის მიდიოდა
სამყაროში
ოცნებით სავსე ღია თვალებით,
უსასრულობას
ახლავს იმედად
ადამიანის
ნა -
ტერ —
ფა —
ლე —
ბი ...

1982 წ.

ლერი ალიმონაკი

დოკუმენტური ნოველა

# ფამფორა

1961 ან 1962 წელია. ზამთარს წელი წყდება. თუმცა მზიანი დილაა, სუსხავს. ისე არც ერთ ქალაქს არ უხდება მზე, როგორც ქუთაისს. ბაღში თოვლია. გაშიშვლებულ ხეთა შტოებს ჭილყვავი შესევია, არი ქოთქოთი, გნიასი. აკაკის მეფურ ძეგლს თოვლი თეთრი ბისონივით შემოხვევია. სულ ცოტაც და მიძინებული კვირტები ამოფითქვინდებიან, თეთრად დაფეთდება მადაურობა. ჭილყვავიც გადაქოთქოთდება, წავლენ, მოვლენ მტრედები, ქედნები, დადგება სალხინო დღეები. ჯერ კი... ძველი თეატრის წინ, ბაღისკიდეზე, ძელსკამთან ჯერ არავინ ჩანს – აქ უფროსი თაობა იყრის თავს. დილის სუსხი შელღვება და გამოვლენ. ყველა კოლორიტია. მაგრამ არი იმათში ერთი – ოთარ სულაბერიძე, მეობა. კაცს, ვისაც ცხოვრებაში ხელში კალამი არ აუღია, არც ფუნჯი, არც საჭრეთელი, გავა დრო და, მისი გარდაცვალების შემდეგ, ღრმადქართველური ბუნებისა და იერის წყალობით, თავად გახდება პოეტთა, ხელოვანთა მუზის საგანი, თანამოქალაქენი ქალაქის სკვერში ძეგლს დაუდგამენ.

ჩინური პლაშჩია მოდაში, ის მაცვია. რა ვქნა, პალტო არ მაქვს. ტანზე ორი თუ სამი ჯემპრი შემჯაჯვია, მცივანა ვარ.

კვირა დილაა.

მეგობართან უნდა გავიდე, ზაურ ბიკაშვილთან, თეთრ ხიდსგაღმა.

თეთრი ხიდი.

ვინ იცის, რამდენ ლეგენდას სძინავს მის ბურჯებში.

ზაურიმ ხაზვა იცის, მოცემულობის ამოხსნაში უნდა მომეხმაროს, ფარვიზაც იქ იქნება. ხვალ გამოცდა მაქვს, ნიჟარაძესთან.

ზამთრის სესიებია.

ტროლეიბუსის გაჩერებაზე ვდგავარ, ბაღისკიდის გადმოღმა, ბაზრის გვერდით. როგორც იქნა, მოღოღიალდა ტროლეიბუსი. თითქმის ცარიელია, ორი კაცი ყანყალობს მძღოლის კაბინასთან. ის არის საფეხურზე ფეხი ავდგი, იქით-აქედან მეცნენ, გამძაგრეს. ტყავის შავი ტუჟურკები აცვიათ, ძერჟინსკის ჩეკისტებს რომ ეცვათ, იმგვარი, სამოქალაქო შარვლები ჩექმებში ჩაუჩურთიათ. ერთი, ბეხლეწი, ვერ ვიცანი (ან რატომ უნდა მეცნო), მეორე, ჯიჯგვი – ქალაქში ცნობილი კაცია, ხვადაგიანი, რუბენა, მილიციის მეორე განყოფილების უფროსის მოადგილე. კანონები არ ვიცი, ან რაში მჭირდება, რა ეჭვის ნიადაგზე დამიჭირეს, არც ის ვიცი, მაგრამ „ვოლგამ" რომ ებრაელების უბნისკენ შეუხვია, შაუმიანის ქუჩაზე და მილიციაში მიდურთეს თავი, ეს დასტურად ვიცი.

– რატომ დამიჭირეთ-მეთქი? – ჩუმი პროტესტით ვკითხულობ მანქანაში.

– მაგას ამაღამ გაიგებ, – ფერდში იდაყვს მკრავს ხვადაგიანი, – ქორწილს რომ გადაგიხდითო!

ჭირის ოფლს მასხამს.

მეგობარი მახსენდება, როდამ ბაქრაძე, ნიადაგ ფათერაკებშია. მამა ყავს გავლენიანი, მილიციაც ვაგლახად ვერაფერს უბედავს. იბარებენ ერთხელაც როდამს მილიციაში, არ მიდის. იბარებენ, არ მიდის. ხვადაგიანს თავადვე აუკითხავს სახლში, საფიჩხიაზე, დილაუთენია პირდაპირ საძინებელ ოთახში დადგომია თავზე. კედლებზე როდამს ჯინა ლოლობრიჯიდას, მერლინ მონროს, ბრიჯიდ ბარდოს, სხვა ცნობილი კინომსახიობების სურათები აქვს გაკრული. უთვალიერებია ხვადაგიანს კედლები, უთვალიერებია, უკითხავს – ესენი ვინ არიანო?! – ესენი, რუბენა ბიძია, სუყველა ჩემი ნაშები არიანო! – ჩაფიქრებულა ხვადაგიანი, ნიკაპზე წათათუნებია როდამს. – მერე, შე ჩემანალა, ერთი მაინც დამაჯახეო! – მაგას რა ლაპარაკი უნდა, რუბენა ბიძია, ახლა გასტროლებზე არიან, როგორც კი ჩამოვლენ, ა, ამას დაგაჯახებო – ბრიჯიდ ბარდოზე დაუდია როდამს თითი. – ახლა თავი მტკივა, მეძინებაო!..

გამახსენდა ეს, მაგრამ სიმწრით რა გამაცინებდა, ხვადაგიანმა მორიგეს რომ გასძახა:

– ჯიბის ქურდია, კამერაში შეაგდეო!

კამერა საერთოა, რა ჯურის ხალხი გინდა აქ არ იყოს. ერთი მოხუცი კაციც არი, მელოტი, ჩია, რატომ ყავთ, არ ვიცი. ყველაზე გულღია ესაა, ამას ვუზიარებ წუხილს. კამერის კარში გამოღებული უმინო სარკმელი სამორიგეო ოთახში იხედება. სამორიგეოს ფანჯრებიან კარში, პირდაპირ ქუჩაში რომ გადის, პატარა მოედანზე, კარგად ვარჩევ ჯაფარიძისა და მახარაძის ქუჩებზე ამვლელ-ჩამვლელს, თვალისცეცებით ნაცნობ სახეებს ვეძებ. თუმცა... ჩვენს ზურგსუკან ებრაელების უბანია. სხედან ალბათ ახლა სინაგოგას წინ ჟღალწვერა ებრაელები, მზისგულზე, თავზე ფესით, კრიალოსანს მარცვლავენ და იგონებენ აბრაამს, აბრაამის მოდგმას, როგორ გასწირა სასიკვდილოდ კაენმა აბელი, მშვენიერი იოსები ძმებმა როგორ ჩაამწყვდიეს ხაროში, ბაასობენ შოვნაზე, წაგებაზე, ყისმათზე, ისინკას აგლახავებენ, ჭორფლიან დალალ ბიჭს – ის როგორ იყო, ისინკა, დედ-მამის სულ გაფიცებ, მოყევი ერთი, შენ დაგენაცვლე... შოთა ფიჩხაძეც აქ ცხოვრობს, სადღაც ახლოს, უმაღლეს მათემატიკას მიკითხავს, ზის ახლა ალბათ თავის ოთახში, იცხაკ ნიუტონის ინტეგრალებს უკირკიტებს. იქით თავისუფლებაა, მე კი... რა ცოტა ხანია აქა ვარ და უკვე თავისუფლების ნოსტალგია გულგვამს მიჭამს. ოცი-ოცდაერთი წლისა დაბაფრული ვარ, რასაკვირველია. თუმცა აქ ვინ რას გიშველის, აქ ყველას თავის გასაჭირი ადგას. ღამე დაგვანაწილებენო, ისმის ვიღაცის დაგუდული ხმა. ზაფრა მემატება, ყურში ხვადაგიანის ხლიჩინა ხმა რო ჩამესმის:

– ამაღამ ქორწილს გადაგიხდითო!

ღამის მოახლოება მზარავს, დაღამებამდე უნდა გავაღწიო როგორმე აქედან. ბიძასათნ დამარეკინეთ-მეთქი, ვთხოვ მორიგეს. კათედრის გამგეა პედაგოგიურ ინსტიტუტში, გენო ბურჯანაძე, ქალაქშიც ავტორიტეტი აქვს. შენც არ მომიკვდე, ვინ გაკარებს ტელეფონს.

თანდათან ვეჩვევი ნახევრადბნელ კამერას, სარკმლიდან რა შუქიც შემოდის, ეგ არი. საკნელებსაც ვუშინაურდები – მინდა იცოდნენ რომ... გაჭირვება გვაშინაურებს ერთმანეთთან. ვწრიალებ, ვწუხვარ...

– რა დღე მიცდება!..

– აპა, ბიჭო, რა დღე გიცდება!.. – ილინცურად ეღიმება ფიცრის სკამზე მიწოლილ მოხუცს (არყით მოვაჭრეა, მგონი). აქ ვინ დაგიჯერებს, ამ კვირა დღეს საშოვარზე რომ არა ხარ დილაუთენია გამოსული – მთელი ქალაქი ბაზარშია გამოზიაზებული.

– ე, შენ, ბებერო, ამ კაცმა არ გითხრა სტუდენტი ვარო!..

კუთხეში ვიღაცა ვიღაცას ყრუდ ებუტბუტება – ტროლეიბუსის გაჩერებაზეო!..

მოშუადღევდა.

მორიგეს ფეხსადგილში გავყავართ. ბეჟანაა მორიგე, უმცროსი სერჟანტი, რიჟა, სასტუმროსთან მორიგეობს-ხოლმე. ავუხსნი, ვფიქრობ, ტყუილუბრალოდ რომ ვარ, ეგება... მეტი არ იქნა შენი მტერი.

– რიონგამოღმა ყველას ვცნობ, ჩემანალა, შენ ალბათ ახალი დაწყებული გაქო!

გაბლიკებული თითებით შუბლზე ჭირის ოფლს ვიწმენდ.

განყოფილებაში შემოსასვლელ ზამბარიან კარს წამდაუწუმ რაჯგარუჯგი გაუდის, არის მიდი-მოდი, ჰაი-ჰუი, ბოჟიალი. სამორიგეო ოთახში რაც ხდება, ყველაფერს ვხედავ – სარკმელს ვარ მიციებული. იქნება ვინმე... იქნება ვინმე... ფეთქავს ტვინი. იღება ღრჭიალით კარი და – ვალიკო იჭგიმება გენერალივით, ჩიტიანი, მთელი ქალაქი იცნობს, ხელში სალამურისხელა სასტვენი უჭირავს, უკან ბორია მოყვება, კონსტანტინეპოლსკი, ფერდაკარგული, ინდაურით ხელში. ბორია ბიძია ნათესავად მერგება – ჩემი ბიძაშვილის, აჩიკო ბურჯანაძის, დეიდის ქმარია.

გამეხარდა.

– ბეჟანა ბიჭო, – ბრიხინებს ჩიტიანი, – სპეკულიანტია ეს კაცი, ტროლეიბუსის გაჩერებაზე ინდაურს ყიდდა?! – ტროლეიბუსის ხსენებაზე ცივ ოფლს მასხამს.

– რას ამბობთ... ბატო... ნო... ო?! – მთლად გაუთეთრდა სახე ბორია ბიძიას, ისედაც ენა ებორკება, სულ დაება. ბორია კონსტანტინეპოლსკი წისქვილკომბინატის დირექტორია, კრისტალივით პატიოსანი კაცია – მთელმა ქუთაისმა იცის. ხმას როგორ გავიღებ, კაცს თავისი გასაჭირი ადგას. ბეჟანამ განზე გამოიხმო ჩიტიანი, სარკმელთან ახლო.

– ვალიკო, არ გაყიდდა ეგ კაცი ინდაურს, ვცნობ, ბაზრის უკან ცხოვრობს, რიონისპირზე...

– ხომ იყიდა სპეკულიანტისგან! – იხტიბარს არ იტეხს ჩიტიანი.

– რა ვიცი, ბატ...ონო... ვინ იყო.. სპეკ...ულიანტი... თუ...

– კრინტი, შენც სპეკულიანტი ხარ! ბეჟანა, ამოუწერე ამას შტრაფი და კარი პაღური! – ბრიხინებს სახეგარიჯგვინებული ჩიტიანი. ბორია ბიძიას ფერი მოუდის. ღრჭიალა კარში ისე გადის, აქეთ არ იხედება. მორიგის ფეხქვეშ დატუსაღებული კონსტანტინეპოლსკის ინდაური გახელებული კივკივებს.

ბინდდება.

ვხედავ ფანჯარაში, ადამიანები სახლებში მიცუხცუხებენ. ცარიელდება ქუჩა. რა ბედნიერები არიან, ვფიქრობ. დღე ცოტა იმედი იყო, ღამდება და ეს ცოტაც ქრება. კამერაშიც დუმილი ისადგურებს. მეც ვჩუმვარ, ვწრიალებ ღამის მოლოდინში. სამორიგეო ოთახში ნათურა ინთება. მბჟუტავ სიყვითლეში ბუნდად ვარჩევ ახლა უკვე სხვა მორიგის ყინულივით გალიგვებულ სახეს. ვუყურებ და ვფიქრობ:

– არა, ამასთან კრინტის დაძვრაც არ ღირს.

დრო კი მიდის. სამორიგეოში არ წყდება მიდი-მოდი, რაჯგუნი, ბოჟიალი.

იღება ღრაჭუნით კარი და – ფამფორა. სამორიგეოში ფამფორა შემოყავთ – დიდთვალება, პირბუდაღი ფამფორა. შუბლზე შინდისფერი კასინკა გადუკრავს, ფოლაქებაცვენილი გამოხუნებული კუბოკრული პალტო მუხლებამდეც არ წვდება. ფაშფაშა ქალია ფამფორა, ქუჩის მეძავი, ვინ არ იცის. გარედან ქუჩის სიგრილე, რაღაც სურნელი შემოიყოლა. ჩვენთან ხომ არ დასვამდნენ, პატივით სკამზე დააბრძანეს, აქვე, კამერასთან ახლო. მეჩვენება თუ რა, ჩუმი ღელვით წითელპომადიან სქელ ტუჩებს იჭამს, ლალისფერ საყურეს თითებით აწვალებს, ნახშირივით შავ თვალებს დამცინავი ღიმილით აცეცებს. ფამფორა რატომ, ვფიქრობ, ის ხომ ღამღამობით დამონადირეობს, ნეტა ისიც ტროლეიბუსის გაჩერებაზე ხომ არ გამოაყოლეს ხელს. მილიციელები ფამფორას ექილიკებიან, ეღლაბუცებიან, აგლახავებენ რა. ამ ღადავში ვპოულობ დროს ერთი-ორი სიტყვა გადავუჩურჩულო ფამფორას. თავადაც. სტუდენტი ვარ-თქვა... ნდობით მეკიდება, ვატყობ. თუმცა ღლიცინში მილიციელებს აჰყოლია (რა ქნას), წამიერად გუგები ეყინება, თითქო რაღაცას იხსენებსო, მწუხარე სახე ლმობიერებით ეფაკლება, მხოლოდ წამიერად.

დაღამდა.

კამერაში აცივდა. სულ ჩაგვიწყდა ხმა. ფანჯარაში ვხედავ, ქარში რა საცოდავად კონწიალობს ბოძზე ყვითელი ნათურა, რა გულსაკლავად ხრიალებენ ჟანგიანი სახურავები. კანტიკუნტადღა თუ გავიგონებ ქუჩაში ჩავლილი მგზავრის ფეხის ჩქამს, ჩახველებას, ჩალაპარაკებას. მგონია, მომწყვიტა ღამემ გარეთა ქვეყნიერებას, მარტოდ შემატოვა ქარში მოკონწიალე მბჟუტავ მოლოდინს.

დრო კი იწელება, ღამე პანტერასავით თვალებს მიელვებს.

სამორიგეოში ფაცაფუცი ატყდა:

– უფროსი მოვიდა!

– უფროსი მოვიდა!

შვებით ვხვნეში. მოვუყვები როგორც იყო, ვფიქრობ, უფროსია, ხნეკაცი, გაიგებს. მორიგე იჭგიმება, ქამარს ისწორებს, პატაკს აბარებს სამორიგეოში შემობრანდალებულ უფროსს, სახემოყანყალებულ ჯინჭველაშვილს. ვიღაცას რაღაცას ეუბნება, ვიღაცა რაღაცას ეუბნება, კაბინეტში მიბრანდალებს, ზემოთა სართულზე, შიბლეტების კრაჭაკრუჭით.

გუნება წამიხდა.

აქაურობა გასერიოზულდა, ჰაერიც ყვითელი ელექტრონით დაიმუხტა, მილიციელებიც გასერიოზულდნენ, ფამფორასთან საღლიცინოდ ვიღას სცალია. უფროსის მძღოლი იქვე დარჩა, სამორიგეოში, გასასვლელ კართან გრძელ სკამზე ჩამოჯდა, სარკმლის პირდაპირ, სამი-ოთხი ნაბიჯი თუ გვაშორებს, ხელში გასაღებებს არაჩხუნებს. ახალგაზრდა ბიჭია ჩემზე ბევრად უფროსიც არ იქნება.

სამორიგეოში მოძრაობა არ წყდება, გაყავთ, შემოყავთ, არი ჰაი-ჰუი, ღიდღიდი, ბოჟიალი.

ფამფორა ზლაზვნით დგება, დავიღალეო, გადის, გამოდის, რედიკულიდან პაწია შუშას იღებს, ყურისძირებში იცხებს, მძღოლს ეპირფერება, მხარზე ხელს უთათუნებს, ხმადაწევით ებაასება, ჩემკენ ახედებს. მძღოლი მიყურებს, მაკვირდება, თავს უქნევს.

– დაეგდე ადგილზე! – ჯღავის მორიგე.

ფამფორა ჯდება, მეჩურჩულება:

– დაგენაცვლე, დაწერე მისამართი, გვარი და მომეცი.

ღმერთო!

ვიღაცა ჯიბიდან გალეულ ფანქარს იღებს, ვიღაცა ფურცლის ნახევს.

ვშფოთავ, ვჩქარობ:

უზნაძის 16ა. კუკური ბურჯანაძე.

კუკური გენოს ძმაა, უფროსი, მშენებელი ინჟინერია. გენო – მწარე კომუნისტია, კუკური – მწარე ანტიკომუნისტი, ჭირისდღესავით ძულს საბჭოთა წყობილება. „კომუნისტი" კი აქვს გამოწერილი (ან ისე ვინ დააყენებს), მაგრამ რად გინდა – ერთს მაღვალაკურად გადაავლებს თვალს, მიადუჟებს, ნახევებად აქცევს, ნახევები ფეხსადგილში გააქვს დუდღუნით ბიცოლაჩემს. ტელევიზორი, პაწია „რეკორდი", ერთთავად იატაკზე გდია – ნაწიხლი, ნაგვემი, რას უძლებს, არ ვიცი. – ამათ არ გაეკარო, ბიძია, ამათ ტიფამ ელაპარაკაო, მაფრთხილებს-ხოლმე. დადის – სამსახურია, ქუჩაა, თეატრია, ენას არ აყენებს. ვალიკო ჩორნნა დაუბარებიათ ქალაქკომში, ტრესტის უფროსი – ბურჯანაძე უნდა გაათავისუფლოო! – დივერსანტობა არაფერი შემიმჩნევია, ბატონო, ისე მაგნაირი ინჟინერი მეორე არ მყავს, თქვენ ხომ არ გადაირიეთო! – ქალაქში პატივს სცემენ ვალიკო ლორთქიფანიძეს, ღირსეული კაცია, ვაგლახად სიტყვას ვინ შეუბრუნებს.

ფურცელს წვრილად ვკეცავ, მალულად ფამფორას ვაწვდი. ისიც მალულადვე პალტოს ჯიბეში ჩქმალავს. ვერ ისვენებს, ვატყობ, წრიალებს. ისევე დგება, გადი-გამოდის, დაკეცილ ფურცელს მძღოლს მუჭში უდებს.

– დაეგდეთ-თქვა, გელაპარაკები შე!.. – დადღანებს მორიგე. ფამფორა ჯდება. მძღოლი ნაკეც ქაღალდს ხსნის, კითხულობს, საჩვენებელი თითით მანიშნებს: იქით არი – თითს ებრაელების უბნისკენ იშვერს, თუ აქეთო – ახლა თითს სადგურისკენ იშვერს. აქეთ-თქვა, სადგურისკენ ვანიშნებ, კიროვის ქუჩისკენ. აქედან ბიძაჩემის სახლამდე წუთი, წუთნახევარი თუ უნდა მანქანით, მეტი არა. მძღოლი დგება, უფროსის ოთახში ადის.

სიმწრის ოფლს მასხამს.

უმალვე ბრუნდება, რაჯგუნა კარში გადის.

– აპა, ფეხზე, – მორიგე რაჩხუნით აღებს საკნის კარს, – აფხოდი იწყება! – ჯინჭველაშვილი ქუთუთოებშეშუპებულია, ვხედავ, გამოშვინდილებული, თმადავარცხნილი. მბჟუტავი ნათურასავით გაციალდა გულში იმედი.

– შენ რაზე ხარ?! – ღვინის ოხშივარს აფრქვევს პირიდან.

– ეს, უფროსო, თბილისის ქუჩის კუთხეში, „თოლიასთან" ღვინით ვაჭრობდა!..

– ხოოო!.. – გაბრიგინდა ჯინჭველაშვილი. – ვერ მოგაშლევიე ხო ეგ შენ!.. სადაური კაცი ხარ?!.

– საქარის ცოლიკოურია, ჩემო ბატონო...

– კაი რამე ქე იქნება!... გვწამლავ ხო!...ამოუწერეთ ამ გლახას შტრაფი, კარით პაღური! – და საჩვენებელი თითი საფეთქელში ატაკა მოხუცს. არ ვიცი სიხარულით, არ ვიცი სიმწრით, მოხუცს თვალები აუცრემლიანდა.

იქნება მეც შტრაფით გადავრჩე-თქვა, ვფიქრობ.

– შენ რაზე ხარ? – ახლა უფრო უხვად აფრქვევს ჯინჭველაშვილი ოხშივარს.

– ეს, უფროსო, ბაზრის გასასვლელში რო ტანსაცმლის მაღაზიაა, ტროლეიბუსის გაჩერების წინ, იქ ჩეხური პიჯაკი მოუზმანებია, ხოდა, ქე წასულა!..

– არა უფროსო, იქავე ძველი ნაცნობი გადამეყარა, გამიბა ლაილაი და...

– ლაილაი!.. მე შენ გასწავლი როგორ უნდა ლაილაი!.. ხონში რო გაგიშვებ, ძველ ნაცნობებთან, იქ ილაილავებ!.. გაგულავებ იქ მე შენ ჩეხური პიჯაკით!.. – ამასობაში მძღოლიც დაბრუნდა, გადავეციო, მანიშნა.

ღმერთი გიშველის.

– შენ რაზე ხარ?!

– მე, ბატონო, სტუდენტი ვარ, გამოცდა მაქვს ხვალ, – წამოვიწყე ხმის კანკალით, – სტალინის ქუჩაზე გავდიოდი, ტროლეიბუსში ავდ...

– ჯიბის ქურდია! – მოჭრა მორიგემ, ვინ გაცალა სიტყვის თქმა.

– რა გვარი ხარ? – ოხშივარს აფრქვევს ჯინჭველაშვილი.

– ალიმონაკი...

– ალიმონაკი?!. – წამით ჩაფიქრდა ჯინჭველაშვილი, ცერა თითით საფეთქელთან ჭაღარა შეისწორა. – გადაპარსეთ ამას ამაღამვე თმა, სურათი გადაუღეთ, კინო „კომუნასთან" რო კედლის გაზეთია – „ვინ გვარცხვენს ჩვენ", იქ გამოაკარით!.. აათრიეთ გამომძიებელთან!.. ტროლეიბუსს გაჩვენებ მე შენ!.. – საჩვენებელ თითს მიქიცინებს.

– შენ რაზე ხარ?!

– ეს უფროსო... ოოო, ეს მსხვილფეხაა, უფროსო, ახალციხიდან გასტროლებზე გვესტუმრა... ამას, უფროსო, უპურმარილოდ ვერაფრით გავისტუმრებთ!..

– რა გვარი ხარ, შენი!.. – რაღაც სომხურ გვარს ეუბნება. მაღალი ბიჭია, ხმელი, ნახშირივით სახე აქვს, ნახშირივით გრძელი თითები. ის ხანი, რაც ერთად ვართ, ხმა არ გაუღია. – მერე, შე ჩათლახო, ესენი არ მეყოფიან აქ, – ჩვენკენ ზნექს ცერა თითს, – შენ რო ფალვანდივით არ წამებორკო ფეხებში?! – და სახეში ლეწა. ახალციხელი თავზე ხელებს იფარებს. – რაპორტი შეადგინეთ, პროკურატურაში გადაათრიეთ!

– შენ რაზე?!.

– შენ რაზე?!.

– შენ რაზე?!.

ყურებში კაშხალივით რაღაცა მიშხუის, აღარაფერი მეყურება, საფეთქლები მიფეთქავს. მგონია თვალშიც ბინდი ჩამიდგა.

გადამიწყდა იმედი.

მარტო ჩემს თმაგაპარსულ თავსღა ვხედავ ქალაქის კედლის გაზეთში. მთელი ქუთაისი მიცნობს, ჩემი თაობაც, უფროსი თაობაც, ამას ვინ დაიჯერებს, მაგრამ ხომ შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს ეჭვი, ვფიქრობ სულგამწარებული, მართლა ხომ არ წაუცდა ლერიას ხელი სხვისი ჯიბისკენო?!

იღება უცბად სამორიგეოს ღრაჭუნა კარი, ვხედავ – ბიძაჩემი, ფართობორტებიანი გრძელი რატინის პალტოთი, კაზიროკიანი ქუდით. ტანმორჩილა კაცია, ხმელი. არ ვიცი ყინვით, არ ვიცი ბრაზით, სახე ალეწვია. ალიმონაკთან ვარო, გაბზარული კილოთი ცრის კბილებში.

– რა არის შენი?!

– დისშვილია!..

– გამოიყვანეთ!.. ეს არი?!. ამას როგორ გაგატანთ, სიცხე ხო არ გაქ! – იპუტავს ყველაფერს ჯინჭველაშვილი. – ამან გადაატრიალა ქუთაისის ჯიბეები, ამას ვეძებთ რამდენი ხანია! – ბიძაჩემს სახეზე სისხლი ასკდება. ნამეტანი ფიცხი კაცია, თუ აფეთქდა, მტრისას. თუმცა ახლა თავს იკავებს, ვგრძნობ, გარემოებას სწავლობს.

– მეე, ბატონო?!. მე?!. – ტანსახეზე ღვითქი გადამდის.

– ე, შეხედეთ!... აფერისტი!.. შეხედეთ ერთი, რამდენი აცვია!.. შეაგდეთ ისევე კამერაში!..

– ამხანაგო უფროსო, აღარ იზამს, სტუდენტია, ვაპა...

– კუკური ბიძია... მე... მე არ... მე...

– შენ გაჩუმდი! – მიცაცხანებს ბიძაჩემი.

– ა, ხო, ხედავ?!. აპა, ჩემი თანამშრომელი ტყვილს მეტყოდა – ტროლეიბუსში მიძვრებოდაო?! რას ამბობ, ხომ არ გადაირიე, ამას ვეძებთ რამდენი ხანია, ამას როგორ გაგატანთ?!

– საშა რო იყო, ხო გახსოვს, ამხანაგო უფროსო, ალიმონაკი, ძველი ქუთაისელი ფეხბურთელი?!.

– საშკა ალიმონაკი ვის არ ახსოვს!

– ხოდა, იმისი შვილია... სტუდენტია... რა იყო, შეკაცო, მეტს აღარ... – ფარული ბრაზით ეღიჯინება ჯინჭველაშვილს ბიძაჩემი.

– სტუდენტია!.. ამ ქალაქში ყველა სტუდენტია, ვეღარ გევიგე, ყველამ რო...

– იმ შენი კაი დედის და მამის სულის ცხონებამ, გაიხსენე ერთი, თუ კაცი ხარ, თავისი ფინტებით საშას რამდენჯერ აუბღავლებიხარ სტადიონზე, რა იყო, შეკაცო?!.

– ყურები უნდა დააწიწკნოს კაცმა!.. ამოუწერეთ ამას შტრაფი და... არა, მოიცათ, ჩამოართვით ახსნა-განმარტება და... იცოდე, გაფრთხილებ, თუ კიდე წამებორკე ფეხებში, ვირის აბანო არ აგცდება!..

სუსხავს. ხმელ ფანტელს ქარი სახეში მაყრის, თმებს მიწეწავს, ბოძებზე ყვითელ ნათურებს აკონწიალებს, უამურად ახრიალებს სახურავებს. ოფლით გაღვითქულ სახეს პლაშჩის საყელოში ვმალავ. გაოგნებულს, რაღაც გაურკვეველი ფიქრები გულგვამს მიჭამს. რა ერთი წკიპი კმარა ზოგჯერ, კაცს რომ ცხოვრება გაუმრუდდეს.

– წამოდი, ბიძია, წამოდი, – მგონია კითხულობს ბიძაჩემი ჩემს ფიქრებს , – ამათ ტიფამ ელაპარაკა!

10 ოქტომბერი, 2010 წელი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# საქართველოს მთავრობამ აფხაზურად დაილაპარაკა

**საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდი სამენოვანი გახდა. ვერსიებს ქართულ და ინგლისურ ენებზე დაემატა აფხაზურიც. საიტი პრაქტიკულად მთლიანად განახლდა, მასზე გაჩნდა ახალი გაზეთები, მაგრამ ხელისუფლების მთავარი ახალი ამბავი მაინც არის გვერდის თარგმანი აფხაზურ ენაზე.**

და შეგვახსენებენ: საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზურ და ქართულ ენებს აქვთ სახელმწიფო ენების სტატუსი. მასალების თარგმნას განახორციელებს საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობათა ინსტიტუტი. 1995 წელს საქართველოს კონსტიტუციის მიღების შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ოფიციალურ დონეზე მოხდა სახელმწიფო ვალდებულებათა რეალიზაცია აფხაზების წინაშე.

ИЗВЕСТИЯ

# საქართველოს პრეზიდენტი გაცურვაში „რკინის ბიჭებისთვის“ ცდილობს პუტინს გადააჭარბოს

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოთხშაბათს შავ ზღვაში ჩაყვინთა და მონაწილეობა მიიღო მარათონულ გაცურვაში — შეჯიბრებაში მაგარი ბიჭებისთვის, რომლებიც წარმოაჩენენ ნამდვილი მამაკაცების ხასიათს, რამაც მოგვაგონა მისი მთავარი მტრის ვლადიმერ პუტინის ქცევა.**

სააკაშვილმა ღია ზღვაში 3,5 კილომეტრი გაცურა და, ოფიციალური ინფორმაციით, მან ეს გააკეთა, რათა მიეპყრო ტურისტების ყურადღება დასავლეთ საქართველოში აჭარის საზღვაო რეგიონისკენ.

„წყალი — სუპერი!“, — განაცხადა სააკაშვილმა, როდესაც ამოვიდა წყლიდან, სადაც მან ასევე მოასწრო წყალბურთის ბურთის სროლა თბილისის მერ გიგი უგულავასა და სპორტის მინისტრ ლადო ვარძელაშვილთან ერთად.

„აჭარის პლაჟებზე შეიძლება იცურაო და გაირუჯო მაისიდან ნოემბრამდე, და სეზონი აქ ექვსი თვე გრძელდება“, — განაცხადა სააკაშვილმა ტელეარხ „რუსთავი-2“-თან ინტერვიუში შავი ზღვის წყალში კროლით ცურვის შემდეგ.

გაცურვის მანძილი, ოფიციალური მონაცემებით, ახლო იყო იმასთან, რასაც „რკინის ბიჭები“ აკეთებენ ტრიატლონში შეჯიბრების დროს და ეს მანძილი ორჯერ აჭარბებს ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე გრძელ დისტანციას.

კუნთებით თამაშმა შავი ზღვის წყალში შეგვახსენა ტელერეპორტაჟის კადრები პუტინის მონაწილეობით, რომელიც მან შარშან ციმბირში გააკეთა, სადაც რუსეთის ფაქტობრივმა მმართველმა და სააკაშვილის დაუძინებელმა მტერმა აჩვენა „ბატერფლაის“ სტილით ცურვის დროს ციმბირის ერთ-ერთ მდინარეში.





სააკაშვილი რუსეთის მისამართით ბრალდებითაც კი გამოვიდა, რომელმაც 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა სამხედრო ოპერაცია, ხოლო ათასობით მისი ჯარისკაცი ამჟამად საქართველოსგან გამოყოფილი ორი რეგიონის ტერიტორიაზე არის განთავსებული.

„ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რუსი ოკუპანტები ასეთი შურით უმზერენ ჩვენს ქვეყანას და ცდილობენ მის ხელში ჩაგდებას“, — თქვა მან.

საქართველო უკანასკნელ წლებში ახორციელებს ამბიციური პროგრამის რეალიზაციას, ცდილობს აჭარა და მისი დედაქალაქი ბათუმი გადააქციოს მიმზიდველ ტურისტულ რეგიონად.

პუტინი და სააკაშვილი ვერ ფარავენ თავიანთ სიძულვილს პიროვნულ ურთიერთობებში, თანაც რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, არსებული მონაცემებით, დაიფიცა ჩამოკიდოს საქართველოს პრეზიდენტი ერთი ადგილით და იცინოდა იმაზე, თუ როგორ ჭამდა იგი თავის ჰალსტუხს.

AFP

## დედამიწის ზურგზე



**კოლაიდერთან მომუშავე მეცნიერები ემზადებიან სამყაროს პარალელების აღმოჩენისთვის**

ფიზიკოსებს იმედი აქვთ, რომ გაისად მიიღონ დადასტურება ისეთი ცნებების არსებობის შესახებ, როგორიცაა ფარული სამყაროები და დამატებითი განზომილებანი, რის შესახებაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საუბარი იყო მხოლოდ ფანტასტი მწერლების ნაწარმოებებში. მათი წარმოდგენით, პარალელურ სამყაროებს შეუძლიათ დაიმალონ განზომილებებში, რაც სინათლისთვის მიუწვდომელია.

* * *

**სამხრეთ კორეაში დააპატიმრეს სამი კაცი, რომლებიც ცდილობდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაქცევას**



ისინი აპირებდნენ გადასულიყვნენ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩინეთიდან, მაგრამ ეს წამოწყება რატომღაც ვერ განხორციელდა. სახლში დაბრუნების შემდეგ ისინი დააპატიმრეს ეროვნული უშიშროების კანონის საფუძველზე, რომელიც კრძალავს არასანქცირებულ კონტაქტებს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

* * *

**ამერიკელი ჟურნალისტი გაათავისუფლეს აღიარების გამო, რომ ეშინია მუსლიმანებისა**




რადიო ქსელმა „ნეიშნლ ფებრიქ რადიო“ გაათავისუფლა პოლიტიკური მიმომხილველი ხუან უილიამსი, რომელმაც ტელევიზიაში თქვა, რომ ნერვიულობს, როდესაც ხედავს მუსლიმანს თვითმფრინავში. ამავე დროს უილიამსი არის რამდენიმე წიგნის ავტორი სამოქალაქო უფლებებისთვის ამერიკული მოძრაობის შესახებ და ის ხაზგასმით ამბობს, რომ ის „ფანატიკოსი არ არის“.

* * *

**აფრიკის კავშირმა გაეროს შესთავაზა მოაწყოს სომალის საზღვაო და საჰაერო ბლოკადა**

ორგანიზაციამ აგრეთვე შესთავაზა გაზარდოს სამშვიდობო კონტინგენტის რიცხოვნობა სომალიში. გაეროს უშიშროების საბჭომ წინადადება მოიწონა, მაგრამ სთხოვა საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგინოს უფრო დაწვრილებითი გეგმა. აფრიკის კავშირი აყენებს წინადადებას გაიზარდოს თავისი სამშვიდობო ძალების კონტინგენტიც 8-დან 20 ათასამდე.



# განჩინება

## საქართველოს სახელით

### საჯარო შეტყობინების შესახებ

19 ოქტომბერი 2010 წ. ქ.ფოთი

**ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თეა ბერაია**

**მოსარჩელე:** ს.ს.მ.ს.ო „კრისტალი“
**წარმომადგენელი:** თორნიკე ქათამაძე
**მოპასუხეები:** ლალი ხელაია, თამაზ გოგინავა, მალხაზ გოგინავა
**დავის საგანი:** თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

**გამოარკვია**

ფოთის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა ს.ს.მ.ს.ო „კრისტალი“-ს წარმომადგენელმა მოპასუხეების: ლალი ხელაიას, თამაზ გოგინავას და მალხაზ გოგინავას მიმართ თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

მოპასუხეებს: ლალი ხელაიას, თამაზ გოგინავას და მალხაზ გოგინავას სარჩელში მითითებულ მისამართებზე (საცხოვრებელ ადგილებზეძ, კერძოდ: ქ.თბილისი აკ.წერეთლის № 8/15-ში, ქ.თბილისი, ზუგდიდის ქ. №3/49-ში და ქ.თბილისი, ზუგდიდის ქ. № 3/49-ში სასამართლოს მიერ გაეგზავნათ სასამართლო გზავნილები, მაგრამ კურიერის განმარტებით ირკვევა, რომ მოპასუხეები: ლალი ხელაია, თამაზ გოგინავა და მალხაზ გოგინავა, აღნიშნულ მისამართებზე არ ცხოვრობენ და მათი ადგილსამყოფელი უცნობია (იხ. სასამართლო გზავნილებიძ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად, ქ.თბილისი, აკ.წერეთლის 8/15-ში მცხოვრებ ლალი ხელაიაზე, ქ.თბილისი, ზუგდიდის ქ.№3/49-ში მცხოვრებ თამაზ გოგინავაზე და ქ.თბილისი, ზუგდიდის ქ.№3/49-ში მცხოვრებ მალხაზ გოგინავაზე სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარება მოხდეს მათი საჯაროდ გავრცელების მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით,

**დაადგინა**

1. მოპასუხეებზე ლალი ხელაიაზე, თამაზ გოგინავაზე და მალხაზ გოგინავაზე სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარება მოხდეს მათი საჯაროდ გავრცელების მეშვეობით.

2. საჯარო შეტყობინებით გავრცელდეს შემდეგი პუბლიკაცია: მოსარჩელე ს.ს.მ.ს.ო „კრისტალი“ სარჩელით მოითხოვს:

2.1. მოპასუხეებს: ლალი ხელაიას და თამაზ გოგინავას სოლიდარულად დაეკისროთ ს.ს.მ.ს.ო „კრისტალი“-ს სასარგებლოდ დავალიანების — 2020.37 აშშ დოლარის გადახდა.

2.2. მოპასუხეებს ლალი ხელაიას და თამაზ გოგინავას სოლიდარულად დაეკისროთ ს.ს.მ.ს.ო „კრისტალი“-ს სასარგებლოდ სახ.ბაჟის 110 ლარის გადახდა.

2.3. მოპასუხე ლ.ხელაიას სასესხო ვალდებულების დასაფარად მოხდეს იპოთეკის საგნის — მდებარე ქ.ფოთი, ჩელუსკინელების ქ. № 63-ში უძრავი ქონების რეალიზაცია.

სარჩელს თან ერთვის:

1ძ 2007 წლის 4 ოქტომბრის სესხის № 02503 ხელშეკრულების ასლი — 4 ფურცლად;

2ძ 2007 წლის 26 სექტემბრის იპოთეკის ხელშეკრულების ასლი № 02503-ბ — 04 ფურცლად.

3ძ სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულების ასლი № 488966-გ — 01 ფურცლად.

4ძ 2007 წლის 4 ოქტომბრის თავდებობის ხელშეკრულების ასლი — 02 ფურცლად.

5ძ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი — 01 ფურცლად.

6ძ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულძ იურიდიულ პირთა რეესტრიდან — 01 ფურცლად.

7ძ მინდობილობის ასლი — 02 ფურცლად.

3. მოპასუხეებმა ლალი ხელაიამ, თამაზ გოგინავამ და მალხაზ გოგინავამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით (როგორც წესი, ნაბეჭდი სახითძ უნდა შეადგინონ პასუხი (შესაგებელიძ სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე მოსაზრებები სარჩელზე დართული საბუთების შესახებ და წარუდგინონ ფოთის საქალაქო სასამართლოს მისი ჩაბარებიდან 05 დღის ვადაში. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავით დადგენილი წესით.

4. საჯარო შეტყობინება განხორციელდეს გაზეთის — „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით.

5. სასამართლო გზავნილი მხარეთათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

6. სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა დაეკისროს მოსარჩელეს.

7. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

**მოსამართლე**
**(ხელმოწერილია)**
**თეა ბერაია,**
**ასლი სწორია**

**მოსამართლის თანაშემწე**
**ი.გიგიბერია**

## წლები

**ამ დღეებში დაბადებიდან 75 წელი უსრულდება ღირსეულ პიროვნებას, მეცნიერსა და მოქალაქეს დიმიტრი ვლადიმერის ძე მელაშვილს. მან იმდროინდელი თაობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად იწვნია მე-20 საუკუნის 30-40-იანი წლების ცხოვრების უმძიმესი პირობები.**

**1943 წელს იგი შევიდა თბილისის მე-15 ვაჟთა საშუალო სკოლაში. 1948 წელს მისი ოჯახის რაჭაში საცხოვრებლად გადასვლის გამო სწავლა განაგრძო ამბროლაურის რაიონის სოფელ წესის რვაწლიან სკოლაში, შემდეგ ამბროლაურის საშუალო სკოლაში, რომელიც 1954 წელს დაამთავრა ვერცხლის მედალზე.**



# მთელი ცხოვრება შეუძლებელს ეჭიდება...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრებისშემდეგ მუშაობა დაიწყო ფიზიკის ინსტიტუტში კიბერნეტიკის განყოფილებაში, რომლის ბაზაზეც შემდეგ შეიქმნა კიბერნეტიკის ინსტიტუტი.

ახალგაზრდა მეცნიერის პროფესიულ დაოსტატებაში დიდი როლი შეასრულეს ამ ინსტიტუტში მომუშავე ცნობილმა მეცნიერებმა ვლადიმერ ჭავჭანიძემ, როსტომ შადურმა და სხვებმა.

კიბერნეტიკის ინსტიტუტში მუშაობა დ. მელაშვილისათვის ნაყოფიერი გამოდგა, სადაც მან 1970 წლამდე დაჰყო. სწორედ ამ პერიოდში მოუწია მას მუშაობა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის სამხედრო სამეცნიერო ჯგუფთან ერთად. კიბერნეტიკის ინსტიტუტიდან საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით სამხედრო სტრატეგიული თემების დამუშავების სამუშაოებში ქართველი მეცნიერების გარდა მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ნოვოსიბირსკის მეცნიერები. ბევრი მათგანი არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი. მათთან თანამშრომლობა ჩვენი იუბილარისათვის უდიდესი სკოლა იყო.

ამ პერიოდში დ. მელაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა საბრძოლო პროცესის მათემატიკური მოდელები, რომელთა რეალიზაცია განხორციელდა მაშინდელ გამომთვლელ მანქანებზე. ამ პროგრამებით ის სისტემატურად მონაწილეობდა სამხედრო-საშტაბო სწავლებებში; პრაქტიკულად დამტკიცდა, რომ კომპიუტერს ოპერაციის დაგეგმვაში დიდი სამსახურის გაწევაც შეეძლო. ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დ. მელაშვილმა 1968 წელს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ძირითადად ამ პერიოდიდან სამხედრო საქმეში კომპიუტერის გამოყენების ეფექტურობა საბოლოოდ აღიარებული გახდა. დაიწყო სამეურნეო საკითხებში მისი გამოყენების პერიოდი. იქმნება მართვის ავტომატიზებული სისტემები სხვადასხვა უწყებაში, თანამედროვე კომპიუტერები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო, სამუშაოები სრულდებოდა დიდ გამოთვლით მანქანებზე.

1970 წელს დ. მელაშვილი სამუშაოდ გადავიდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ახლად ჩამოყალიბებულ გამოთვლით ცენტრში, სადაც მუშაობდა ჯერ განყოფილების გამგედ, შემდეგ დირექტორის მოადგილედ. ის აქტიურად მონაწილეობდა საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემის პირველი და მეორე რიგის დამუშავებაში, რომლის სირთულეები განაპირობა გეგმების დამუშავების მეთოდიკის არარსებობამ.

1995 წლიდან დიმიტრი მელაშვილმა სამხედრო მეცნიერების სფეროში მუშაობის გამოცდილება დაუკავშირა სამხედრო აკადემიაში მუშაობის დაწყებას. მან იქ შეუძლებლად მიჩნეული ამოცანის ამოხსნა შეძლო, რომლის შედეგები ჟურნალ „სამხედრო ტექნიკაში" დაიბეჭდა. მან, სამხედრო აკადემიაში მომუშავე სხვა მეცნიერებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ადიუნქტურის (სამხედრო ასპირანტურისძ გახსნაში და რამდენიმე ადიუნქტის მეცნიერ-ხელმძღვანელობასაც წარმატებით გაართვა თავი.

პარალელურად იგი მუშაობას განაგრძობდა ეკონომიკის სამინისტროს გამოთვლით ცენტრში. მას ოთხ ათეულამდე სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული; მისი ხელმძღვანელობით ოთხმა დაიცვა დისერტაცია. აღსანიშნავია, რომ ბ-ნი დიმიტრი ოცდათექვსმეტი წელია სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

დიმიტრი მელაშვილი ამჟამადაც ნაყოფიერად მუშაობს. იგი უაღრესად გაწონასწორებული, გულისხმიერი, სიკეთით სავსე, გულმზიანი, ქართული ტრადიციებისადმი დადებითად განწყობილი და ერთგულად დამცველი პიროვნებაა.

დიდი ხნის ჯანმრთელ და ხალისიან სიცოცხლეს ვუსურვებთ ბ-ნ დიმიტრის თავის ოჯახის წევრებთან და კეთილმსურველებთან ერთად.

მეგობრები

## ინფორმაცია

### კოლელიშვილი კვლავ „გარიგებას" მიუბრუნდა

**თელავის რაიონის სოფელ აკურაში რეჟისორ ზაზა კოლელიშვილის ფილმის „გარიგება-2"-ის გადაღებები დაიწყო.**

**რადიო „ჰერეთთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში ზაზა კოლელიშვილი ამბობს, რომ დღევანდელობის გათვალისწინებით ფილმში ძველ გმირებთან ერთად რამდენიმე ახალი პერსონაჟი გამოჩნდება.**

**— ახლა გადაღებები სოფლის ბირჟაზე ხდება, შემდეგ კლუბში გადაინაცვლებს, ბოლოს კი სიუჟეტი მიხოსა და მაროს სახლში ვითარდება. ფილმის ხანგრძლივობა დაახლოებით 1 საათი და 25 წუთი იქნება, — აღნიშნა ფილმის რეჟისორმა.**

**ფილმის პრემიერა, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის დეკემბერში გაიმართება.**

**აკურაში „გარიგება 2"-ის გადაღებები 3 დღის განმავლობაში გაგრძელდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი

**23 ოქტომბერი, შაბათი**

I არხი
12.15 მხ. ფილმი „დაივიწყე პარიზი"
14.00 სპექტაკლი „მამა"
16.15 ქართ. ფილმი „ლაქა"
18.00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი, „ზესტაფონი" – „დინამო"
20.30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
23.00 სერიალი „ფარი"
00.00 მხ. ფილმი „გოტიკა"
03.10 მხ. ფილმი „ბუმი"
04.40 მხ. ფილმი „კერიგტონი"

II არხი
20.00 მხ. ფილმი „მზის ჩასვლამდე"
21.20 ფონდი „იავნანა". საქველმოქმედო კონცერტი: სუხიშვილები
00.30 მხ. ფილმი „ბუმი"

„რუსთავი-2"
12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
13.00 მხ. ფილმი „შეშლილი პროფესორი"
17.50 მხ. ფილმი „მაგდანას ლურჯა"
18.50 სერიალი „დანიელა"
19.50 სერიალი „სად არის ელისა?"
22.00 სერიალი „ბიზნესი მაღალ ქუსლებზე"
23.00 სერიალი „დეტექტივები"
00.00 მხ. ფილმი „სიყვარული და სხვა უბედურება"
02.30 მხ. ფილმი „თეთრი სასახლე"

იმედი
09.15 მხ. ფილმი „ხუჭუჭთმიანი გოგონა"
11.00 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები"
12.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში"
13.00 სერიალი „ლობას საიდუმლო"
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა"
17.40 სერიალი „სიყვარულის სახელით"
18.45 სერიალი „ლობას საიდუმლო"
21.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული"
22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში"
23.00 სერიალი „ციხე ოზი"
00.00 მხ. ფილმი „ტრანსპორტერი" სუბტიტრებით
01.55 სერიალი „გაქცევა 4"
02.35 მხ. ფილმი „ველური ორქიდეა-2" სუბტიტრებით
04.20 მხ. ფილმი „უფლისწული მუხუდოს მარცვალზე"
06.00 სერიალი „ვარსკვლავური ოჯახი"

მზე
13.50 სერიალი „ქახილი"
14.50 სერიალი „ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია"
15.40 სერიალი „ველური მთვარე"
16.30 მხ. ფილმი
18.40 სერიალი „ჩემი შეყვარებული"
20.00 ფეხბურთი
22.00 სერიალი
22.45 ფეხბურთი
00.10 მხ. ფილმი

აჭარა
09.30 სერიალი „მეგობრები"
12.30, 21.00 სერიალი „პადრე კორახე"
13.15 სერიალი „ლინდა და ბრიგადირი"
16.30 სერიალი „მოჯადოება"
18.50 მხ. ფილმი „ტყვიაგაუმტარი"
23.30 მხ. ფილმი „მკვლელის წერილები"

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „ფილატელისტის სიკვდილი"
15.10 ოპერა
19.30 მხ. ფილმი „აბეზარა"
00.45 მხ. ფილმი „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის"

საქართველო
10.55 სერიალი „აივენგო"
11.55 სერიალი „ნიბელუნგების ბეჭედი"
14.20 მხ. ფილმი „იურული პერიოდის პარკი"
16.35. მხ. ფილმი „მწვანე ზონა"
18.40 მხ. ფილმი „აწყვეტილები 3"
20.30 მხ. ფილმი „წინასწარმეტყველება"
00.30 მხ. ფილმი „ბრუკლინელი პოლიციელები"

რეგიონი — TV
11.10 მხ. ფილმი „ისე რა არდადეგები"
12.35 მხ. ფილმი „გადარეული სპეცნაზი"
14.05 მხ. ფილმი „დაწყევლილთა კუნძული"
16.20 მხ. ფილმი „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სამოთხეში"
18.15 მხ. ფილმი „სპარსეთის უფლისწული: ჟამთა ქვიშები"
20.40 მხ. ფილმი „ბეწვიანთა შურისძიება"
22.10 მხ. ფილმი „ინტერნეიშენალი"
00.35 მხ. ფილმი „10 000 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე"

**24 ოქტომბერი, კვირა**

I არხი
10.00 მხ. ფილმი „გაათავისუფლე უილი 2"
12.15 მხ. ფილმი „სიყვარულის ამბავი"
18.00 კონცერტი – „ერისიონი"
22.00 ქართ. სერიალი „ვა-17"
23.00 სერიალი „ფარი"
00.00 მხ. ფილმი „ჰოლივუდელი გამომძიებლები"

II არხი
15.00 სპექტაკლი „შენსკენ სავალი გზები"
22.00 კონცერტი – ანდრეა ბოჩელი
21.10 მხ. ფილმი „გოტიკა"

„რუსთავი-2"
13.20 მხ. ფილმი „გაყინული"
15.20 სერიალი „კაპრი"
22.00 სერიალი
23.00 მხ. ფილმი „დაუმარცხებელი"
01.20 მხ. ფილმი „არიზონული ოცნება"

იმედი
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები"
12.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში"
13.00 სერიალი „ლობას საიდუმლო"
15.00 მხ. ფილმი „მევლუდი"
18.45 სერიალი „გოგონა გარეუბნიდან"
21.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში"
00.00 სერიალი „ციხე ოზი"
01.00 მხ. ფილმი „დამცველი" სუბტიტრებით
02.50 სერიალი „გაქცევა 4"
03.30 მხ. ფილმი „კომანდო"
06.00 სერიალი „ვარსკვლავური ოჯახი"

მზე
14.30 ფეხბურთი
17.00 ფეხბურთი
19.00 მხ. ფილმი
21.00 ფეხბურთი
23.00 ფეხბურთი

მაესტრო
14.00 კანონი ხალხისთვის – ზ. ქუცნაშვილის პროექტი
21.00 00.00 ნ. ლეჟავას კვირის რეპორტაჟი

აჭარა
09.30 სერიალი „მეგობრები"
12.40, 21 00 სერიალი „პადრე კორახე"
16.30 სერიალი „მოჯადოება"
19.15 ქართ. ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა"
23.20 მხ. ფილმი „ფრენკის უკანასკნელი დღეები"

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „აბეზარა"
19.30 მხ. ფილმი „იყო შაშვი მგალობელი"

საქართველო
10.55 სერიალი „აივენგო"
11.55 სერიალი „ნიბელუნგების ბეჭედი"
14.20 მხ. ფილმი „იურული პერიოდის პარკი-2"
16.35 მხ. ფილმი „;თანამზრახველი"
18.45 მხ. ფილმი „აწყვეტილები 4"
20.35 მხ. ფილმი „ხიდი"
22.30 მხ. ფილმი „წვეულება ვემასში"
00.30 მხ. ფილმი „პირადი მცველი"

რეგიონი — TV
11.10 მხ. ფილმი „კატები ძაღლების წინააღმდეგ"
12.35 მხ. ფილმი „ჯაშუშთა შვილები"
14.00 მხ. ფილმი „ძმის საცოლის შეყვარება"
15.35 მხ. ფილმი „პიკის საათი"
17.00 მხ. ფილმი „მაგარი მცველის ტიპი"
18.00 მხ. ფილმი „მოუხელთებელი"
21.10 მხ. ფილმი „ეშმაკობა, ანუ კუდი ძაღლს აქიცინებს"
22.45 მხ. ფილმი „ძვირფასი ჯონი"
00.50 მხ. ფილმი „წმინდა ვალენტინის დღე"

**26 ოქტომბერი, ორშაბათი**

I არხი
21.00 სერიალი „ტკბილი, მწარე ცხოვრება"
00.30 მხ. ფილმი „გადაუხადე სხვას"

II არხი
09.00 მხ. ფილმი „გაათავისუფლე უილი 2"
20.00 მხ. ფილმი „სიყვარულის ამბავი"
01.00 მხ. ფილმი „ჰოლივუდელი გამომძიებლები"

„რუსთავი-2"
10.00 სერიალი „გძნობათა ტყვეობაში"
11.00 სერიალი „სამუდამოდ შენი"
12.20 სერიალი „შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"
14.00 ჯეოსტარი
16.00 სერიალი „სიყვარულის საიდუმლო"
16.50 სერიალი „მორენას ვნება"
18.50 სერიალი „დანიელა"
19.50 სერიალი „სად არის ალისა?"
22.00 ჯეოსტარი
00.00 საფეხბურთო ღამე
01.00 მხ. ფილმი „ტვინ პიქსი: ერთად გავიაროთ თოვლში"

მზე
10.50 სერიალი „ინსპექტორები"
11.40 სერიალი „ტყუპები"
12.30 მხ. ფილმი
15.00 ფეხბურთი. „სარაგოსა" – „ბარსელონა"
17.00 ფეხბურთი. „რეალი" – „რასინგი"
18.50 სერიალი „ჩემი შეყვარებული"
19.40 მხ. ფილმი
23.00 ფეხბურთი. „ნაპოლი" – „მილანი"
00.10 მხ. ფილმი

იმედი
10.00 სერიალი „მეორე სიცოცხლე"
11.50 სერიალი „ლობას საიდუმლო"
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა"
17.40 სერიალი „სიყვარულის სახელით"
18.45 სერიალი „ლობას საიდუმლო"
21.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული"
22.00 სერიალი „27 დრაკონი" მე-2 სერ.
23.00 მხ. ფილმი „ნამდვილი მაკკოი" სუბტიტრი
01.05 სერიალი „გაქცევა 4"
01.45 მხ. ფილმი „უკანასკნელი ლეგიონი" სუბტიტრით
03.25 მხ. ფილმი „მზის ბნელი მხარე" სუბტიტრი
06.00 სერიალი „ვარსკვლავური ოჯახი"

აჭარა
09.30 სერიალი „მეგობრები"
11.40, 21.00 სერიალი „პადრე კორახე"
12.45 მხ. ფილმი
16.30 სერიალი „მოჯადოება"
19.30 სერიალი „ლინდა და ბრიგადირი"
23.55 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.14 მხ. ფილმი „იყო შაშვი მგალობელი"
19.15 მხ. ფილმი „ბებერი მეზურნეები"
23.15 მოკლემ. ფილმი „ქვევრი"

საქართველო
08.50 მხ. ფილმი „იამატო"
11.25 მხ. ფილმი „ტროა"
14.00 სერიალი „წყნარი ოკეანე"
15.15 მხ. ფილმი „ბანდიტები"
17.50 სერიალი „გზების რაინდი"
19.20 მხ. ფილმი „იქს-ადამიანები: უკანასკნელი ბრძოლა"
21.15 მხ. ფილმი „ლუზერები"
23.00 სერიალი „ჯარისკაცთა საძმო"
00.25 მხ. ფილმი „აპალუსა"

რეგიონი — TV
04.45 სერიალი „ვნების ანატომია 6" მე-3 სერია
11.45 მხ. ფილმი „მზის ცრემლები"
13.40, 00.40 მხ. ფილმი „ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა"
16.00 მხ. ფილმი „ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავ"
18.00 მხ. ფილმი „დუბლიორი"
19.45 სერიალი „ვნების ანატომია 5" 21-ე სერ.
22.10 მხ. ფილმი „შეზინდება: ახალმთვარეობის საგა"

ჭადრაკი

# მეხუთე ტურმა გაგვაწბილა

**პლოვდივში მიმდინარე მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის მეხუთე დღე თბილისის ქალთა გუნდ „სამაიასთვის" უიღბლო აღმოჩნდა: ქართველმა დიდოსტატებმა სანკტ-პეტერბურგის**



**გუნდთან დიდი ანგარიშით – 05:3,5 წააგეს. ლელა ჯავახიშვილი მონიკა სოჩკოს დაუზავდა, ხოლო მაია ჩიბურდანიძე, სალომე მელია და ბელა ხოტენაშვილი, შესაბამისად, ვიქტორია ჩმილიტესთან, ქეთევან არახამია-გრანტთან და ეკატერინა ატალიკთან დამარცხდნენ.**

**დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:** AVS (რუსეთიძ – „მიკა" (ერევანი) 2:2, „მონტე კარლო" (მონაკო) – ბას ბელგრადი (სერბეთიძ 3:1, „ფოლკსბანკი" (გერმანიაძ – „ლოკომოტივი" (ბულგარეთიძ 1:3, „ჰერცლია" (ისრაელიძ – „გიპრორეჩტრანსი" (რუსეთიძ 1:3, „ოსლო" (ნორვეგიაძ – „ფიშერ კიეტი" (იტალიაძ 1:3, „კომარნო" (სლოვაკეთიძ – „აშდოდი (ისრაელიძ 2:2.

ხუთი ტურის შემდეგ AVS -ს 8 ქულა აქვს და ერთპიროვნულად მეწინავეობს. ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან „მონტე კარლო", „მიკა", „პეტერბურგი" და „სამაია", რომლებსაც „ოქროს" მოპოვების შანსი არ დაუკარგავთ.

რაც შეეხება ვაჟთა ტურნირს, აქ 10 ქულით პირველ ადგილზეა რუსეთის „ეკონომისტი", რომელმაც მე-5 ტურში ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტი აზერბაიჯანის „სოკარი" დაამარცხა. ერევნის „მიკა" 9 ქულით მეორეა, 6-მა გუნდმა კი 8-8 ქულა მოაგროვა.

შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტური დარჩა.

**გივი გაგუა**

ფეხბურთი

# ვინ – ვის



**ევროპის ლიგა. ჯგუფური რაუნდი. III ტური.**

**„ა" ჯგუფი.** „ზალცბურგი" – „იუვენტუსი" 1:1, „სიტი" – „ლეხი" 3:1.

„სიტი" – 7, „ლეხი" – 4, „იუვენტუსი" – 3, „ზალცბურგი" – 1 ქულა.

**„ბ" ჯგუფი.** „არისი" – „ლევერკუზენი" 0:0, „ატლეტიკო" – „რუსენბორგი" 3:0.

„ლევერკუზენი" – 5, „არისი", „ატლეტიკო" – 4-4, „რუსენბორგი" – 3 ქულა.

**„გ" ჯგუფი.** „სპორტინგი" – „გენტი" 5:1, „ლილი" – „ლევსკი" 1:0.

„სპორტინგი" – 9, „ლილი" – 4, „ლევსკი" – 3, „გენტი" – 1 ქულა.

**„დ" ჯგუფი.** „ვილიარეალი" – პაოკი 1:0, „დინამო" (ზაგრებიძ – „ბრიუგე" 0:0.

„ვილიარეალი" – 6, პაოკი, „დინამო" (ზაგრებიძ – 4-4, „ბრიუგე" – 2 ქულა.

**„ე" ჯგუფი.** „ალკმაარი" – „დინამო" (კიევიძ 1:2, „შერიფი" – ბატე" 0:1.

ბატე – 7, „დინამო" (კიევიძ – 4, „ალკმაარი", „შერიფი" – 3-3 ქულა.

**„ვ" ჯგუფი.** „პალერმო" – ცსკა (მოსკოვიძ 0:3, „სპარტა" – „ლოზანა" 3:3.

ცსკა (მოსკოვიძ – 9, „სპარტა" – 4, „პალერმო" – 3, „ლოზანა" – 1 ქულა.

**„ზ" ჯგუფი.** „ანდერლეხტი" – აეკი 3:0, „ზენიტი" – „ჰაიდუკი" – 2:0.

„ზენიტი" – 9, „ანდერლეხტი", „ჰაიდუკი", აეკი – 3-3 ქულა.

**„თ" ჯგუფი.** „შტუტგარტი" – „ხეტაფე" 1:0, „იანგ ბოიზი" – „ოდენსე" 4:2.

„შტუტგარტი" – 9, „იანგ ბოიზი" – 6, „ხეტაფე" – 3, „ოდენსე" – 0 ქულა.

**„ი" ჯგუფი.** „მეტალისტი" – „სამპდორია" 2:1, „დებრეცენი" – „ეინდჰოვენი" 1:2.

„ეინდჰოვენი" – 7, „მეტალისტი" – 6, „სამპდორია" – 4, „დებრეცენი" – 0 ქულა.

**„კ" ჯგუფი.** „ბორუსია" – „პსჟ" 1:1, „კარპატი" – „სევილია" 0:1.

„პსჟ" – 7, „სევილია" – 6, „ბორუსია" – 4, „კარპატი" – 0 ქულა.

**„ლ" ჯგუფი.** „უტრეხტი" – „სტიაუა" 1:1, „ნაპოლი" – „ლივერპული" 0:0.

„ლივერპული" – 5, „ნაპოლი", „უტრეხტი" – 3-3, „სტიაუა" – 2 ქულა.

**„მ" ჯგუფი.** „ბეშიქთაში" – „პორტუ" 1:3, ცსკა (სოფიაძ – „რაპიდი" 0:2.

„პორტუ" – 9, „ბეშიქთაში" – 6, „რაპიდი" – 3, ცსკა (სოფიაძ – 0 ქულა.

კარატე

# მეცხრამეტედან 19 მედლით

**საფრანგეთის ქალაქ ლონლესონიეში დამთავრდა ახალგაზრდა კარატისტთა მსოფლიოს მე-19 ჩემპიონატი, რომელიც შოტოკან კარატეს ფუძემდებლის გიჩინ ფუნაკოშის ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრებაში 65 ქვეყნის სამი ათასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა სხვადასხვა ასაკში.** შესანიშნავად იასპარეზეს ქართველმა სპორტსმენებმა, რომლებმაც პირად პირველობაში 10 ოქროს, 6 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ დავით ტყებუჩავა, ჰენრი ვეკუა, გიორგი ლიპარტელიანი, გიორგი ჯიქია, ალექსანდრე გოგოლაშვილი, ზურაბ საკანდელიძე, ნესტორ ჩიკვილაძე, შოთა გორელაშვილი, ლუკა ვადაჭკორია და აკაკი ქარსელაძე. ქართველ კარატისტებს ოქროს მედალი გუნდურ კუმიტეშიც ხვდათ.



**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი

# მხოლოდ შედეგები



**ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. I ტური.**

**„ა" ჯგუფი.** „ტაუგრესი" – „მაკაბი" 94:78, „ჟალგირისი" – „პარტიზანი" 73:62, „ხიმკი" – „პროკომი" 82:76.

**შემდეგი ტური:** „პროკომი" – „ტაუგრესი", „პარტიზანი" – „ხიმკი", „მაკაბი" – „ჟალგირისი".

**„ბ" ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი" – „რეალი" 82:66, „უნიკახა" – „შარლერუა" 84:73, „რომა" – „ბროზე" 83:65.

**შემდეგი ტური:** „ბროზე" – „ოლიმპიაკოსი", „რეალი" – „უნიკახა", „შარლერუა" – „რომა".

**„გ" ჯგუფი.** „სიენა" – „შოლე" 76:44, „ფენერბახჩე" – „ლიეტუვას რიტასი" 86:69, „ბარსელონა" – „ციბონა" 80:66.

**შემდეგი ტური:** „ლიეტუვას რიტასი" – „სიენა", „შოლე" – „ბარსელონა", „ციბონა" – „ფენერბახჩე".

**„დ" ჯგუფი.** „ვალენსია" – „პანათინაიკოსი" 56:72, „ოლიმპია" – „ეფეს პილსენი" 95:90 (დამატებით დროშიძ, ცსკა – „მილანი" 73:88.

**შემდეგი ტური:** „ეფეს პილსენი" – „ვალენსია", „პანათინაიკოსი" – ცსკა, „მილანი" – „ოლიმპია".

**II ტურის შეხვედრები 27-28 ოქტომბერს გაიმართება.**

ინტერნეტიდან

## ახალი ექვმიტანილები

**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში (ფიფაძ თანდათან ფართოვდება კორუფციაში ეჭვმიტანილთა წრე, როგორც ჩანს, უკვე მხილებულ ორ ჩინოვნიკს კიდევ სხვებიც მიემატნენ. როგორც ფიფას ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარემ კლაუდიო შულსერმა განაცხადა: „ჩვენ გადაჭრით ვიმოქმედებთ ფიფას ეთიკის კოდექსის ნებისმიერი დარღვევის წინააღმდეგ. ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, დავიცვათ იმ ქვეყნების გასაზღვრის პროცესი, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატს მიიღებენ". როგორც ამბობენ, უკვე მხილებულთ, შესაძლოა, მიემატოს ესპანეთი, პორტუგალია და ყატარი.**

გამოძიება გრძელდება. სწორედ ამის გამო დაეჭვდნენ ესპანეთ-პორტუგალიის ერთობლივი და ყატარის განაცხადებში. ეს უკანასკნელი 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე აცხადებს პრეტენზიას. დაუსაბუთებელი მონაცემებით, ეს ქვეყნებიც აპირებდნენ ფეხბურთის ფუნქციონერების მოსყიდვას. თუ კი ეს ეჭვები დამტკიცდება, მაშინ ამ ქვეყნებს აღარ დაუშვებენ არჩევნებზე, რაც დანიშნულია 2 დეკემბრისთვის ციურიხში.

შეგახსენებთ, რომ სკანდალი აგორდა ბრიტანულ გაზეთში Sunday Times გამოქვეყნებული ბრალდებით – თითქოს ფიფას ორმა ჩინოვნიკმა – ოკეანიის ფეხბურთის კონფედერაციისა და დასავლეთ აფრიკის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტებმა რამდენიმე მილიონად თავიანთი ხმები გაყიდეს კონკურსში აშშ-ს მხარდასაჭერად.



## დოპინგისთვის დასაჯეს

**დიახ, დიპინგ-სინჯში აკრძალული პრეპარატის – გეპტამინოლის კვალის აღმოჩენის გამო ორი თვით დისკვალიფიცირებულია ევროპის ჩემპიონი თავისუფალი სტილით ცურვაში ფრანგი ფრედერიკ ბუსკე,** მისი განცხადებით, აკრძალული სტიმულიატორი მის ორგანიზმში შეიძლება მოხვედრილიყო აფთიაქში შეძენილი მაზიდან, რის შესაძენად რეცეპტიც არ იყო საჭირო. ბუსკეს დისკვალიფიკაცია გამოუტანა საფრანგეთის ცურვის ფედერაციამ 20 სექტემბერს, ასე რომ, მოცურავეს შეჯიბრებებში მონაწილეობა შეუძლია 20 ნოემბრის შემდეგ.

## ტახტს კი სხვა დაეუფლა

**თუმცა ყველაზე ცნობილი პარაგვაელი ლამაზმანისთვის, ლარისა რიკელმესთვის დაბეჯითებით შეიძლებოდა „2010 წლის ზაფხულის დედოფლის" წოდების მინიჭება, რადგან მან თავი გამოიჩინა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დროს სამხრეთ აფრიკაში, როცა განაცხადა, რომ თუკი მისი ქვეყანა გაიმარჯვებდა მუნდიალზე, ის სახალხოდ გაშიშვლდებოდა. ეს მან მართლაც გააკეთა და თავისი დიდებული ფორმები გამოაჩინა მაშინათვე, როგორც კი პარაგვაელები მეოთხედფინალში გავიდნენ.**

მერე რა? ის რომ მას ყველა მიაწყდა, გამოჩნდა მისი ფოტოები კრიალაყდიანი ჟურნალების პირველ გვერდებზე, მონაწილეობდა სარეკლამო აქციებში, ილებდნენ სერიალებში, რასაც ლარისა მიეჩვია. და თითქმის დაივიწყა ფეხბურთი. ამით კარგად ისარგებლა ლარისას თანამემამულე ანა როისმა (**ფოტოზეძ**. მას ახარებს მამაკაცთა ყურადღება მისი პიკანტური გამოსახულებისადმი სხვადასხვა ჟურნალებში, ის მონაწილეობს საცეკვაო ტელეშოუებშიც, რითაც დამატებით ქულებს იძენს და ტახტზეც უფრო კარგად გრძნობს თავს.



## თინათინ ცქიტიშვილის ხსოვნა

# ეფერებოდა ყოველ ქართულ სიტყვას

დიდი დრო არ არის გასული, რაც თინათინ ცქიტიშვილის, ჩვენი მეგობრისა და კოლეგის ამქვეყნიური სიცოცხლის დღეები გასრულდა. მაგრამ რა საზომი არსებობს იმ დროისათვის, როდესაც ლამის ყოველ წუთს გრძნობ მის არყოფნას, ყოველ წუთს გინდა რაღაც ჰკითხო, რაღაც გირჩიოს, ხელნაწერის რომელიღაც ძველი ქართული სიტყვა განგიმარტოს, ფორმა გაგისწოროს, აზრი შეათანხმო... ვინ იცის, რამდენჯერ იტყვი – ახლა, თინა რომ ცოცხალი იყოს...

თინათინ ცქიტიშვილს, არა მხოლოდ ჩვენს განცდაში, არამედ გამორჩეული ადგილი ეკავა ქართულ სამეცნიერო სივრცეში. ის ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთათვისაც მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, ქართული სულიერების სამსახურში ყოფნაა, მისი ღირსების ღირსეული წარმოჩენა და დაფასებაა, სიცოცხლედაუზოგავი შრომაა „ღვთივ კურთხეულ კაცთა“ და მოღვაწეთა დანატოვარის გადარჩენისა, გამზევებისა და მომავლისათვის გადაცემის. ყოველი სტრიქონი, რაც მას დაუწერია, რისთვისაც დღე-ღამე გაუსწორებია ამის ნათელი დადასტურებაა. მისი მეცნიერული დანატოვარი 70-მდე შრომას ითვლის.

თინათინი ეფერებოდა ყოველ ქართულ სიტყვას, იკვლევდა მივიწყებულ, თითქოსდა დაკარგულ ძირ-ფუძეებს, აცოცხლებდა და მიაჩნდა, რომ ერთი მისხალიც არ უნდა დაჰკლებოდა იმ დიდ საუნჯეს, დიდ საგანძურს, რომელიც ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის სახით უნდა მომზადებულიყო მისი კოლეგების, უფროსი თუ უმცროსი თაობების ძალისხმევით. ეს იყო მისი სიხარულიცა და დარდიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

თინათინ ცქიტიშვილი, ძველი ქართული ენის სპეციალისტი, ბიბლიოლოგი, წყაროთმცოდნე, რუსთველოლოგი, ფართო სპექტრის ფილოლოგი, აკადემიკოს აკაკი შანიძის და აკადემიკოს გიორგი წერეთლის მიერაა ხელდასხმული ამ ასპარეზზე. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ ჩაიბარა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო-საკომენტარო ჯგუფის ხელმძღვანელობა. კომისიისა, რომელსაც დამფუძნებელმა – აკად. გიორგი წერეთელმა უდიდესი მოვალეობა დააკისრა – შესწავლილიყო და დოკუმენტურად დადასტურებულიყო არა მხოლოდ რუსთველური პრობლემატიკის ირგვლივ არსებული მასალა, არამედ შექმნილიყო ფონდი ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების შეძლებისდაგვარად ამომწურავი სიტყვანისა, რაც შემდგომ საფუძვლად დაედებოდა ოცნებად ქცეული ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის შექმნას. ამ დიდი წამოწყების მესვეურთ სწამდათ, რომ ასეთი ლექსიკონის არაარსებობა არ შეჰფეროდა უმდიდრესი ენისა და უნიკალური კულტურის წარსულის მქონე ერს.

თინათინი – სალექსიკონო ფონდის ხელმძღვანელი 1977-2005 წლებში, ხოლო 1997-2007 წლებში „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, ჯერ კიდევ 1991-92 წლებში ქმნის პირველ ნიმუშს ასეთი ლექსიკონისა, I ნაკვეთს, აღმოსავლეთმცოდნე ნანი წაქაძესთან ერთად, ანბანის პირველ ასო ანზე, რომლის გამოცემაც ითავა გამომცემლობა „მერანმა“. აიწყო და ანაბეჭდები ჩასწორდა კიდეც, მაგრამ პოლიტიკურმა ვითარებამ და შექმნილმა გაურკვევლობამ წიგნის გამოქვეყნება შეაფერხა, შემდგომ კი საერთოდ შეწყვიტა – დანამდვილებით არავინ იცის, ვისი ან რისი მიზეზით (!ძ. გავიდა წლები, რომელსაც თან ახლდა მუდმივი ფიქრი ამ საქმის თავიდან დაწყებისა... წუხილი მისი განუხორციელებლობისა თან გაჰყვა ჩვენგან განშორებულს, მაგრამ იმედი მაინც დარჩა; დღეს მისი ახალგაზრდა კოლეგები და თანამოღვაწენი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის ბ-ნ თამაზ გამყრელიძის ხელმძღვანელობით ამზადებენ „ქართული ენის თესაურუსის“ ელექტრონულ ვერსიას, რომელშიც აისახება რუსთაველის კომისიის მთელი საფონდო მასალა, საფუძველთა საფუძველი დიდი ქართული ისტორიული ლექსიკონის შესაქმნელად.



თინათინ ცქიტიშვილის მეცნიერული ინტერესების სფერო არ იყო მხოლოდ ლექსიკოლოგია. მას დიდი და რთული პრობლემები იზიდავდა, რაც თავისთავად გულისხმობდა საკითხებისადმი მიდგომის მასშტაბურობას. ეს მან საკანდიდატო დისერტაციითაც ნათელყო, როდესაც საზოგადოებას 1970 წელს ხარისხის მოსაპოვებლად წარუდგინა ბიბლიური „ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები“. ეს იყო მეცნიერ-მკვლევარის ნიჭის, განათლების, პროფესიული კეთილსინდისიერებისა და ფართო თვალსაწიერის უტყუარი დასტური. მონოგრაფია გამოქვეყნდა 1976 წელს და დღემდე სანიმუშო ბიბლიოლოგიურ ნაშრომად რჩება.

ღმერთი და ადამიანი – ეს არის თინათინის მეცნიერული ინტერესების უმთავრესი სფეროც და მისი სულიერი ცხოვრების განზომილებაც, რაც ორი დიდი და წმინდა წიგნის – ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებზე ფიქრის და ნარკვევების სახეს იძენდა – ნების თავისუფლება და მისი ღვთაებრივი არსი, ადამიანური სინდისი, – როგორც შინაგანი მსაჯული, როგორც ღმერთი ადამიანში – ეს უძველესი სიბრძნე და უახლესი თეორიები ანთროპოლოგიაში (გამთლიანებული აზროვნების ნოოსფერული პრინციპებიძ მისთვის ერთიან ჭრილში მოიაზრებოდა.

2006 წელს თინათინ ცქიტიშვილი იცავს სადოქტორო დისერტაციას „თეოფილაქტე ბულგარელის „იოანეს სახარების განმარტება და ძველი ქართული მწერლობის პრობლემები“, რომელიც წარმოადგენს შეჯამებას ათეული წლების ნაშრომ-ნაღვაწის, პრობლემათა გამთლიანების ქართული შემეცნებითი კულტურის ისტორიის საზღვრებში.

თეოფილაქტე ბულგარელი – ბერძენი საეკლესიო მოღვაწე, თეოლოგი, ფილოსოფოსი, რიტორი – და მისი თხზულების ძველი ქართული თარგმანი თავისთავად იმსახურებდა მეცნიერის ყურადღებას, მაგრამ არჩევანი განსაზღვრა იმან, რომ თეოფილაქტე ბიზანტიის იმპერიის ქართველი დედოფლის მართა-მარიამის სულიერი მოძღვარი და ქართველთა სათვისტომოსთან დაახლოებული პირი იყო, თანამედროვე იოანე პეტრიწის, რომელსაც მკვლევარი თვლის თხზულების ქართულ ენაზე მთარგმნელად.

იოანე პეტრიწი და მისი შემოქმედება თინათინ ცქიტიშვილს განსაკუთრებით აღელვებდა. XI-XII ს-ის დიდი ქართველი ფილოსოფოსის ბიოგრაფიაში ბევრი რამ არის უცნობი თანამედროვეობისთვის. ტრადიციული გადმოცემები ხშირად დაუსაბუთებლად ითვლება. იოანე პეტრიწის ბიოგრაფიის აღდგენა, მისი ნამოღვაწარის დაბრუნება მის სახელთან თინათინის მუდმივი ძიების საგანი იყო და საბოლოოდ, თუმც ვარაუდის სახით, მაგრამ შინაგანი რწმენით, კვლევის შედეგები და პეტრიწისეულ ნაშრომთა გაზრდილი ნუსხა წარმოადგინა სადოქტორო დისერტაციაში. 2010 წელს ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ლაბორატორია „ორიონმა“ გამოსცა ნაშრომის პირველი წიგნი „თეოფილაქტე ბულგარელის თხზულების ქართული თარგმანი“ – ტექსტი შენიშვნებით და ვრცელი ლექსიკონით (გამომცემლობა „ნეკერი“ძ. განზრახულია გამოკვლევის გამოქვეყნებაც მეორე წიგნად, მასში ერთიან სისტემაშია მოქცეული ტექსტოლოგიური, ენათმეცნიერულ-ლექსიკოლოგიური, თეოლოგიურ-დოგმატური თუ ისტორიულ-ეგზეგეტიკური ძიებანი. ასეთი მაღალი კრიტერიუმით უდგებოდა თინათინ ცქიტიშვილი ყოველ საკვლევ საკითხს და სრულიად კონკრეტული და კერძო ხასიათის თემაც კი მის ხელში მონოგრაფიული შესწავლის საგნად იქცეოდა. ამასვე უნერგავდა იგი მომავალ თაობებს, სტუდენტებს, მთელი თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე.

ასეთი იყო თინათინი პირად ცხოვრებაშიც – უკომპრომისო, პირდაპირი, სიმართლის მაძიებელი, რაც ზოგჯერ პრობლემებსაც უქმნიდა ადამიანებთან ურთიერთობაში, მაგრამ, ამასთანავე, იშვიათად თუ ვინმეს ეყოლება იმდენი მადლიერი, იმდენი უახლოესი, მოსიყვარულე მეგობარი, რამდენიც მას ჰყავდა და ჰყავს – სკოლის თუ სტუდენტური მერხიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე არდამკარგავი მათი. იგი თავად იყო ურთგულესი ადამიანი, დამფასებელი თითოეულის ღირსების, გულშემატკივარი, ხელის გამმართავი და მზრუნველი ყველაზე – ვისი დახმარებაც შეეძლო თუ არ შეეძლო... ის ყველას დააკლდა...

ღმერთმა ინებოს, და სასუფეველი დაუმკვიდროს მართალთა შორის!

*მეგობრებისა და კოლეგების სახელით*
**ნელი მახარაძე**

## მანანა შილაკაძის ხსოვნა

# იგი ყველაში ეძებდა მეგობარს

2010 წლის 20 ოქტომბერს, ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ეთნომუსიკოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მანანა შილაკაძე. ქართულმა ჰუმანიტარულმა მეცნიერებამ მისი სახით დაკარგა უაღრესად ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი მკვლევარი, ხოლო მისმა ახლობლებმა და კოლეგებმა – უანგარო, კეთილმოსურნე, დიდბუნებოვანი ადამიანი. იგი იყო შესანიშნავი პედაგოგი, თავისი ერუდიციითა და დიდი გამოცდილებით ახალგაზრდებისათვის სანიმუშო პიროვნება, რომელიც ყოველთვის გვერდში ედგა ირგვლივ მყოფთ და მზად იყო დაუზარელი, უანგარო სამსახურისათვის.



მანანა შილაკაძე დაიბადა 1938 წლის 8 თებერვალს ქ. თბილისში. 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა დ. არაყიშვილის სახელობის I სამუსიკო სასწავლებელი ფორტეპიანოს სპეციალობით, ხოლო 1962 წელს, ასევე წარჩინებით, – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1962 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის (ამჟამად ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტიძ საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში, 1968 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1974 წლიდან – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1992 წლიდან კი – წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

ამასთან ერთად, სხვადასხვა დროს, ქ-ნი მანანა მუშაობდა მუსიკალურ სკოლაში (ფორტეპიანოს პედაგოგადძ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლეს სასწავლებელში (მიჰყავდა ეთნოგრაფიის კურსიძ, ხალხური საკრავების სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან. იგი იყო არა მარტო ისტორიკოსი-ეთნოგრაფი, არამედ ტრადიციული საკრავებისა და საკრავიერი მუსიკის შესანიშნავი მცოდნე, აქტიურად იყო ჩართული საველე-შემკრებლობით საქმიანობაში საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში, კონსერვატორიაში მომზადებული სადისერტაციო ნაშრომების უცვლელი რეცენზენტი და ოპონენტი მრავალი წლის განმავლობაში, აქვე მიჰყავდა ეთნოგრაფიის, ხალხური საკრავიერი მუსიკისა და სპეციალობის კურსი ეთნომუსიკოლოგიაში; იყო ტრადიციული მუსიკის ევროპული ასოციაციის წევრი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე. იგი ერთადერთი მკვლევარია, რომელსაც ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომები ქართული ტრადიციული სამუსიკო საკრავების შესახებ.

1967 წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად – „ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკა“. ხოლო 1991 წელს – დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად – „ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი“.

მანანა შილაკაძე ავტორია 100-მდე სამეცნიერო ნაშრომისა (ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზეძ; გამოცემული აქვს ხუთი წიგნი – „ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა“ (თბილისი, მეცნიერება, 1970ძ, „ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები და თანამედროვეობა“ (თბილისი, მეცნიერება, 1988ძ, ეთნომუსიკოლოგიის საგანი, მეთოდები და ამოცანები“ (თბილისი, მეცნიერება, 1991ძ, Грузинская народная инструментальная музыка“ (Москва, музыка, 1989ძ, „ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი“ (თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2007ძ. მისი უკანასკნელი ნაშრომი სულ ახლახან დაიბეჭდა ამერიკაში გამოცემულ ინგლისურენოვან კრებულში, რომელიც ქართულ მრავალხმიანობას ეძღვნება.

მანანა შილაკაძემ ქართული ეთნომუსიკოლოგია დატოვა იმ დროს, როდესაც მისი მრავალი საინტერესო პროექტი განხორციელებას ელოდა. იგი ბოლო დრომდე აღსავსე იყო შემოქმედებითი ენერგიით. ოქტომბრის დასაწყისში მას მონაწილეობა უნდა მიეღო ტრადიციული მრავალხმიანობის V საერთაშორისო სიმპოზიუმში, თუმცა, უკვე მძიმედ დაავადებულმა, მხოლოდ მისი გამოსვლის ტექსტი გამოგზავნა.

ქ-ნ მანანას ჰქონდა ერთი, დღეისთვის იშვიათი თვისება: იგი ყველაში ეძებდა მეგობარს, რის გამოც იგი მის გარშემომყოფთ კეთილმოსურნეობის ეტალონად მიაჩნდათ. ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო იმისა, რიც გამოც იგი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა და მისი კეთილი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლებისა და კოლეგების გულში.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,
ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების
მიმართულება, ტრადიციული მრავალხმიანობის
კვლევის საერთაშორისო ცენტრი

თამაზ, ნონა, მარინა შილაკაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მანანა ივანეს ასული შილაკაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 23 X, 17 სთ. გამოსვენება 24 X, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ეკა ბეჟანიშვილის ქუჩა №15, ნაძალადევში (ყოფილი კიკვიძის ბაღთანძ.

საქართველოს ყოფილი მთავრობის აპარატის თანამშრომლები ანზორ ბაბუხადია, ვალერი ბასარია, გუჩა დათუნაიშვილი, ჯუნა მხეიძე, არმაზ პაიჭაძე, ლუდვიგ სადუნიშვილი, თამაზ სარალიძე, ნოშრევან სიგუა, რეზო ტყემალაძე, რამინ ქეცბაია, მიხეილ ჩაჩანიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ღირსეული კაცის, სანიმუშო კოლეგის

ასიკო კობახიძის

გარდაცვალებას და გულითად სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს და ყველა ახლობელს.

---

გორის მართლმადიდებელ ქალთა საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი ქველმოქმედისა და ბიზნესმენის ზაზა ოქუაშვილის დის

თამარ ოქუაშვილის

გარდაცვალებას.

---

„ხალხის გაზეთი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქველმოქმედისა და ბიზნესმენის ზაზა ოქუაშვილის დის

თამარ ოქუაშვილის

გარდაცვალების გამო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76

იჩქარეთ, გამოიწერეთ!

# ვინა თქვა, პრეზიდენტი გაზეთებს არ კითხულობსო?

აგერ, ბატონო, როგორც იტყვიან, ყურთაგლეჯა აქვთ ოპოზიციასა და ხელისუფლებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“!..

ჩანს, პრეზიდენტმა ჯიხურში ვერ მიუსწრო ჩვენს გაზეთს და ფიქრია ჩიხრაძის მიერ ნაყიდ გაზეთში იჭყიტება.

ასე რომ ჯიხურში ძებნას გაზეთზე ხელმოწერა ნამდვილად სჯობს. მით უმეტეს, თვეში სულ ათ ლარს გადაიხდით და დილაადრიან შინ მოგართმევენ გაზეთის ცხელ-ცხელ ნომერს...

იმედია ის სახელმწიფო მოხელე, რომელიც, პრეზიდენტს მიბაძავს, აქამდე სათოფეზე რომ არ ეკარებოდა პრესას, დღეიდან, ისევ პრეზიდენტის მიბაძვით, არა მარტო დაიწყებს გაზეთების კითხვას, არამედ გამოიწერს კიდეც ჩვენს გაზეთს, თანაც არა ერთი თვით, რასაც თავის თავს არ აკადრებს, არამედ მთელი ერთი წლით, რაც სულ 120 ლარი დაჯდება.



ყველაზე სანდო და ყველაზე ძველი (92 წლის!ქ ქართული გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7921 ლარი |
| 1 ევრო | – 2.5233 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8765 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9490 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9618 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2359 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2660 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2736 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6986 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +12 – +20 |
| ქუთაისი. | +14 – +24 |
| ბათუმი. | +13 – +22 |
| ზუგდიდი. | +12 – +25 |
| თელავი. | +12 – +20 |

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

ქირავდება კომერციული-საოფისე (301 კვ.მ.ქ ფართი პეკინის (გამსახურდიასქ გამზ. 42-ში.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: 893-505-112. www.matsne-capital.ge

შევიძენ
მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.

## ანეკდოტები

პრინტერზე დამზადებული რამდენიმე კუპიურა დიდი ხნით დაუკარგავს სიდედრს თქვენს ჯიბეებში ხელის ფათურის სურვილს.

* * *

ქართული ენა ძალიან რთულია.

მაგალითად „დაცვა“ და „მცველი“ სინონიმი სიტყვებია, „სამართალდამცავი“ და „უფლებადამცავი“ კი – ანტონიმები.

* * *

– არსებობს ერთი ნახვით შეყვარება?

– ერთი შეხედვით – კი.

* * *



ახალი ქართველის ცოლმა იეჭვიანა, რომ ქმარი მას მოსამსახურე ქალთან ღალატობდა. ამიტომაც ერთხელ მან ეს მოსამსახურე ორი დღით სამსახურიდან დაითხოვა, თვითონ კი ღამით მის საწოლში ჩაწვა.

მალე კარი ჩუმად გაიღო, შემოვიდა მამაკაცი, ტანზე გაიხადა და დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს. როგორც კი მორჩა, ქალმა სინათლე აანთო და იწივლა:

– რაო, შენ პარაზიტო, გაკვირვებული ხარ, არა?!

– ქა-ქა-ლიან – ძლივს ამოილუღლუღა საწოლის კუთხეში მიყუჟულმა დაბნეულმა მებაღემ.

## გვარები

# პატრიარქის ლოცვა-კურთხევას მიიღებენ



ქართველი ხალხის ეკლესიისკენ, მართლმადიდებლობისკენ, ჭეშმარიტი რწმენისკენ მოქცევის საქმეში, პატრიარქის მიერ გვართა დალოცვას, მართლაც რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბევრმა გვარმა მიიღო ეს პატივი.

ყველა ქართული გვარი იმსახურებს ამ სიკეთეს. ყველა ქართული გვარი ღირსია მიიღოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევა. ამ მადლის გასაზიარებლად დუნდუების და დონდუების გვარის შვილებიც ემზადებიან.

საგვარეულო შეხვედრებისთვის განკუთვნილ დარბაზში, 23 ოქტომბერს დანიშნულია წინასწარი შეხვედრა დუნდუებისა და დონდუების გვარის წარმომადგენლებთან, ხოლო 21 ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე წირვის დამთავრების შემდეგ დალოცავს დუნდუების და დონდუების გვარებს.



დუნდუების და დონდუების გვარების წარმომადგენლებს გთხოვთ, დღეს, 23 ოქტომბერს მობრძანდეთ სამების საკათედრო ტაძარში.

დუნდუების და დონდუების საგვარეულო დარბაზი

იყიდება სასწრაფოდ!
ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკექ ვრცელი ფართობი (180 კვმ.ქ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.